6993

ნაკადული

ყოველთვიური ჟურნალი

1917

№№ X—XII.

მოზრდილთათვის

ნაპაპუნი

საყმაწვილო ჟურნალი

ყოველთვიური

ფურნალი

წელიწადი მე-XIII. №№ 10—12. 1917 წ.

F-5814
297

ზარმაცს დილა

საქართველოს საბჭოშეფილ
* ეროვნული * ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ზარმაცის დილა,—სურათი 1

II—ღრუბელი,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა 3

III—ფერო,—(შემდეგ) მოთხრობა ინ-ბანისა 5

IV—***—ლექსი შიო მღვიმელისა 21

V—ისევ ზღაპარი,—გიგო ნათაძისა 23

VI—„მომეცით ფეხი... ჩემი ფეხი... ის მთელი ფეხი ფეხი,—ცალფეხა გ. ლომთათიძისა 29

VII—ვის ერგებოდა ოქროს ტარიანი მათრახი,—(ხალხური ზღაპარი) ჩაწერილი ჭიაურელის მიერ 2

VIII—დამჭკნარი ვარდი,—ლექსი ი. ხიხარულიძისა 39

IX—შავ ტუანეტას შვილობილი,—მოთხრობა ჯემისონისა, (შემდეგი) თარგმანი დათიკო ანთაძისა 40

XI—გასართობი:—ლაბირინთი,—თეო კანდელაკისა.—ანდაზები, ხალხური ლექსები სადღეგრძელო 53

ტამბა-ლიტოგრაფია კავკასიის რკინის გზისა, ტფილისი 1971 წ.



ღრუბელი

აში დავფრინავ მსუბუქად,
მსუბუქად დავიარები;
არსად დამხვდება კედელი,
არც მისი რკინის კარები.

ხან აქ გავჩნდები, ხან იქა,
ვუმზერ მთელ არე-მარესა;
ხან მზის სხივს გადავეხვევი,
ხან მოელვარე მთვარესა.

რას არა ვხედავ მე მგზავრი,—
მინდორს, ვენახებს, ველებსა;
მაღალ კლდეს, დაბალ გორაკებს
ლომებრ ღრიალა ხევებსა.

იმ დღეს ერთ მინდორს წავაწყდი,
შევკრთი, ატირდა გულია;
თვალთ დამიბნელდა უეცრივ,
თვალს მოეკიდა რულია.

ადამიანი თავის ძმას
ებრძოდა, ეომებოდა;
ერთი აქ, მეორე იქით
უპატრონოდა კვდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლს შეეღება მიდამო,
სისხლში სცურავდა მოლია;
მთელს არეს სქლადა ჰფარავდა
ეშმაკთ მანქანის ბოლია.

იდგა კვნესა და ვაება,
ტირილი შესაზარია;
საბრალოდ იხუჭებოდა
ათი-ათასის თვალია...

ახლაც თუმც ცაში დავფრინავ
მსუბუქად დავიარები;
არსადა მხვდება კედელი,
არც მისი რკინის კარები;

მაგრამ მიკვდება მე გული,
მწარედ მიშფოთავს სულია;
წყლულებით განკურნებულსა
კვალად მიჩნდება წყლულია.

ვფიქრობ: ძმამ თავის ძმაზედა
რისთვის გაიღო ხელები;
რისთვის გაუხდნენ ერთმანეთს
დაუღალავი მტერები?!..

დ. ელიოზიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფერო

(შემდეგი*)

V

ინდ-ბუნდი ნელ-ნელა ეპარებოდა დედა-მიწის ზურგსა. მზე უკანასკნელ სხივებს აბნევდა. გალავნის ალვის ხეებზე პაწია ფრინველთ თავი მოეყარათ და საღამოს საგალობელს მიუძღვნიდნენ ცალის თვალით მომზირალ მნათობს. ფერო გალავნის ბურჯზე გადამდგარიყო და ხან სანახაობით სტკბებოდა, ხან ოცნების მორევში დასრიალებდა გონების ნავითა.

*) იხილე „ნაკადული“-ს მე-8 და მე-9 №№.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავლიდან ცხენები გამოიყვანეს. თან გიგი გამოჰყვა.

— აბა ჩქარა, ჰა! შეკაზმეთ! ნუ დაგიღიათ პირები! — დაუტატანა თავისებურად მეჯინიბეთ.

ცოტა ხნის უკან ბორკილების ჩხარა-ჩხური გაისმა და ბურჯზე მდგომმა ფერომ გალავნისაკენ მოიხედა: ორ შეიარაღებულ მეომარს ხელ-ფეხ შებოჭილი ზაზა მოჰყავდა. ყაჩაღი ჭრილობისაგან მორჩენილიყო და მეფესთან ჰგზავნიდნენ. ახალგაზდას მედიდურად ეჭირა თავი, თვალები საშინლად უბჟყვრიალებდნენ; სახეზე შეურაცხყოფით გამოწვეული მრისხანება აღბეჭდვოდა. ფერო რომ დაინახა, მონაოჭებული შუბლი გაეხსნა და ცასაებრ მოეწმინდა. სახე სიკეთით და ლმობიერებით გაუბრწყინდა.

— ანგელოზი! ჩემი ანგელოზი! — წაიჩურჩულა გახარებულმა და ქვევითა ქუთუთოების წამწამებზე ორი მარგალიტი გადმოეკიდა.

ანგელოზმა კი ჯერ გაიღიმა, მაგრამ მერე ღიმილი მალე ზიზღად შეეცვალა და შებოჭილ ადამიანს ზურგი შეაქცია.

— უამბიათ ნაცილი, უამბიათ! — სთქვა გამწარებულმა ზაზამ.

— ყმაწვილო, ცხენები მზად არის! — ამცნო ხმა-მაღლა გიგიმ. — მეფესთან უნდა წაგაბძანოთ.. აბა, ბიჭებო, — მიმართა ახლა დარაჯთ, — შეხსენით ფეხებიდან ბორკილი, რომ ცხენზე ადვილად შევსვათ.

დარაჯთ ტყვეს ფეხებიდან ბორკილი კი მოაშორეს, მაგრამ სამაგიეროდ ხელები მაგრა ჩაუკრეს.

ფერო ყველაფერს გრძნობდა, ზურგთ უკან რაცა ხდებოდა, და კი არ იხედებოდა: ვერა ჰბედავდა. მართალია ჭაბუკი ეზიზღებოდა, მაგრამ ამასთანავე ებრალებოდა კიდეც.

— არიქა, გაიქცევა! გალავნის კარები დაკეტეთ! — გაისმა შეშინებული გიგის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეროომ მიიხედა, და რა დაინახა: ხელებ-გაკრეფილ-ბაზეკა ცხენზე გამოჭიმულიყო და თავისუფლად დატრიალებდა გალავანში. დარაჯნი კი პირდაღებულნი შესცქეროდნენ.

— ეგ, რა ქნა, კაცო! უხელოდ შეახტა! ხელები გაკრული ჰქონდა და შეახტა!—იძახდნენ გაკვირვებული მაყურებელნი.

—რას დაგიღიათ პირები?!—დაუტია დარაჯებს გიგიმ. —მიშველეთ დავიჭიროთ!

— ნუ გეშინიან, გიგი!.. არსად წავალ,—უთხრა გულდაწყვეტილი კილოთი ყაჩაღმა და საყვედურის თვალით დააცქერდა ფეროსა. — ეჰ! —ამოიოხრა მძიმედ ვაჟკაცმა,—მომბეზრდა ეული ცხოვრება, ტყეში წიალი... სიკვდილი მირჩევნია! აბა, გამიძეხით, წამიყვათ! დეე აღსრულდეს ის, რაც ბედმა წილად მარგუნა.

ჭაბუკის თვითეული სიტყვა ისარივით ჩაესო ფეროს გულში, ველარ გაუძლო იმის თვალებს და ციხე-დარბაზის მიდამოს დაუწყო ყურება. მზე აღარა სჩანდა. ბინდ-ბუნდი სრულ მფლობელად ქცეულიყო. აქა-იქ ვარსკვლავებსაც გამოეყოთ თავი და ციმციმებდნენ. ქალმა შორს, სადღაც პატარა აჩრდილს მოჰკრა თვალი. აჩრდილი ნელ-ნელა გაიზარდა და ბოლოს ცხენოსან კაცად გადიქცა. ზედ დატანებით ახლო-მახლო სოფლებში ოხვრა-გოდება ატყდა. ცხენოსანმა შემოუარა მზირავსა და გალავანში შემოაჭენა ცხენი.

— თავს უშველეთ, გიგი! —დაიყვირა ახლად მოსულმა.— ბატონიშვილი გადაარჩინე!.. მტერი ახლოა!.. ომი წავაგეთ!.. მეფეს უკან დასახვი გზა მოუჭრეს. ცალ-ცალკე რაზმები მთელ ქვემო ქართლს მოედვნენ და აწიოკებენ. აქეთკენაც მოემართებიან... ძლივს გამოვასწარ... სამხრეთით მდებარე ტყესთან იქნებიან ახლა.

ყველანი გაშტერებით უცქეროდნენ მთხრობელს: არა სჯეროდათ დიდებული მეფის დამარცხება,—ღალატია, ღალატი, გაურბინა ყველას თავში აზრმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე სოფლებიდან გამოქცეულებმა იწყეს გალავანში დენა; დედაკაცებს ვაი და უში გაუდიოდათ, ბალღები უმწეოდ ტიროდნენ, მამაკაცებს ველარა ეწამებინათ-რა.

ფერო ბურჯიდან ჩამოვიდა და გიგისთან მივიდა. უცნაური იყო: ქალს სახეზე არც აღელვება ეტყობოდა, არც დაბნეულობა.

— გიგი, რას აპირობ?—გაისმა არაჩვეულებრივი წკრიალა ხმა.

— ბატონიშვილო, მოემზადეთ! უნდა მთაში გავიქცეთ... მოვასწრობთ.

— ამათ რაღა ვუყოთ?—მიუთითა ფერომ გალავანში თავმოყრილ ხალხზე.—არა, ჩვენ აქედან ვერ წავალთ. მოვიდეს დახარჩენი სოფლის ხალხიც, და გალავნის კარი დავკეტოთ.

გალავანში ცხენებმა დაიჭიხვინეს. გარედან თანამოძმეთა ფეხის ბაკუნი შემოესმათ. ყველანი გაინაბნენ. ბავშვებიც კი დაჩუმდნენ: აქეთ-იქით დიწყეს ყურება. გალავანში ხუთი ცხენოსანი შემოიჭრა.

— ჩემი ამხანაგები!.. ცელქი!—წამოიძახა ხელებ-შებოჭილმა მორბენალიძემ და ახლად მოსულ ცხენოსნებს გადაეგება.

— დიაღ, ცელქი ვარ!—დაადასტურა თავის ვინაობა ცელქად წოდებულმა და გიგის მიუბრუნდა.—ეჰ, ბებერო, შეხსენი ჩქარა მორბენალიძეს ბორკილები!.. ჰა, ნულარ აგვიანებ, თორემ ხომ იცი, უზიარებელს გაგისტუმრებ საიქიოსკენ.

ცელქის ბრძანება შესრულებულ იქნა: ზაზა გაანთავისუფლეს. წინააღმდეგობა არავის გაუწევია. თავიდან ფეხამდე იარაღში ჩასხმულ ყაჩაღებს ვერავინ გაუბედა-რა.

ამხანაგებმა მორბენალიძეც იარაღში გამოაწყეს.

— ახლა კი წავიდეთ,—სთქვა ცელქმა და ცხენს მათრახი ამოჰკრა.

ცელქს ამხანაგებმაც მიჰბაძეს. მხოლოდ მორბენალიძე არ დაძრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზაზა, რაღას ახანებ?—შეეკითხნენ წასასვლელად გამზადებულნი.

— არა, მეგობრებო, არ წამოვალ! —გაისმა პასუხად.— თქვენც აქ დარჩით. შემთხვევა გვეძლევა ხალხისთვის ვიბრძოლოთ და ჩვენი ცოდვები გამოვისყიდოთ... უნდა დავრჩეთ.

— ზაზა ბერად აპირობს შესვლას, გაიგეთ!—უთხრა ცელქმა ამხანაგებს.

ყაჩაღებმა ხარხარი ასტეხეს. მორბენალიძეს თვალები აენთო.

— თქვენ იქნება დაგავიწყდათ, ვისთანა გაქვთ საქმე?— გაიგონა ყველამ მუქარით წარმოთქმული სიტყვები.

ხარხარი შესწყდა.

— ჩვენ,—დაიწყო მორბენალიძემ,—ნებსით თუ უნებლიეთ ბევრი უზნეო საქმე ჩაგვიდენია, ბევრი ცოდო გვადევს კისერზე, მაგრამ უმწეო ადამიანისთვის გულში მახვილი არ ჩაგვიცია. პირიქით—ხიფათში ჩაგვიგდია ჩვენი თავი და ხელი გაგვიწვდია, გვიშველია... ახლა ჩვენს წინ სწორედ ასეთი შემთხვევაა... ჩვენს წესს არ უნდა ვუღალატოთ.

— იარაღი, ზაზა, იარაღი?—შეეკითხა ცელქი.—რვაოდე კაცი რას გავხდებით?

ცელქმა ამ რიცხვში თავის თავი, თავისი ამხანაგები, ზაზა და ზაზასთან მიყენებული დარაჯები იანგარიშა. დანარჩენი სათვალეში არ ჩააგდო: ყველა თითქმის უიარაღო იყო.

— გალავნის კარები დაკეტე, გახსენ საჭურჭლე, გამოიტანე იარაღი და დაურიგე ხალხსა,—უბრძანა ფეროს გიგის და მიუტრიალდა ყაჩაღებს. ქალმა ამაყად აუწყა:

— დავით ომანიძის სახლში მტრისათვის ისარი არ გამოილევა და მოყვრისათვის კიდევ პატივი.

— შვილო, ფერო, რაღა პასუხი გავცე მამა შენს?—დაიწყო წუწუნი თინანომ, რომელსაც ის იყო გამოჰლვიძებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დარბაზიდან გამოსულიყო.—გავიქცეთ, სანამ დრო გვაქვს!!! შე ოჯახ-ქორო, რა გიბრძანა ბატონმა?—მიმართა ახლა გიგის მოხუცმა.— რატომ არ ასრულებ იმის ბრძანებას და ამ ბავშვის სიტყვებს ყურს რათ უგდებ?

— კარგი, თინანო, კარგი!—უთხრა ალერსიანი კილოთი ფეროომ.—შენ არ მასწავლიდი,—ომანიძიანი მუდამ ხალხის მოსარჩლენი და პატრონები იყვნენო? მეც ხომ ომანიძის ქალი ვარ.

— ჰო, შვილო, მაგრამ შენ თვითონ უმწეო ქალი ხარ! რა ძალა გაქვს?

— მზირავის ზღუდენი და მამიჩემის იარაღები. სანამ ეს ყველაფერი მექნება, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. გიგი, ჩქარა, ნულარ აყოვნებ!

გიგი ბრძანების ასრულებას შეუდგა. ზაზამ მტრის დასაზვერად ამხანაგები დაგზავნა. ხალხის დენა შედგა და გალავნის კარიც დაკეტეს.

VI

ომანიძის სახლში მრავალი საუცხოო საომარი იარაღი და ტანსაცმელი აღმოჩნდა. ამ ამბავმა ყველანი გააკვირა და გაახარა. შიშის ზარმა გაიარა და იმედიანი ლაპარაკი გაისმა.

— აბა, ახლა მოვიდეს მტერი, თუ ბიჭია!—წამოიძახეს შემოხიზნულებმა.

— ვინ მისცა ჩვენს ბატონს, დავითს, ამდენი იარაღი?—იკითხა ერთმა.

— ვინა და, მე შენ გითხრა, ვაჟკაცი არ არის?—უპასუხა მეორემ.—მაგას რომ მტერი დაუმარცხებია, იმდენი ოქრო მომცეს ღმერთმა, და მეტი არ მინდა!

— ერთი უყურე, ტურავ, რა ჯავშანია!—მიმართა ერთმა ხანში-შესულმა გვერდით მდგომ ახალგაზდას.—ბიჭი იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები—ამას ერთი საათით მაინც ატარებ! ამოდენა მიცხოვრია, და ამისთანა არ მინახავს! სულ ოქროს იებით არის მოჭედილი! აი ზედ რაღაც აწერია კიდეც. კითხვა ვინ იცის?

—აბა ერთი, ეფრო, მაჩვენე!—უთხრა ტურად წოდებულმა ხანში შესულსა.

—შენმა მზემ, სულ გადააბულბულებ! გამეცა აქედან!—შეუტია ხანში-შესულმა და მიმართა მორბენალიძეს.—აბა, ბატონო ზაზა, თქვენ თუ წაიკითხავთ?

ზაზა მიუახლოვდა ეფროს და ჯავშანი გამოართვა. სინჯვა დაუწყო: თვალში მოუვიდა. წარწერას ჩაუკვირდა და შემდეგი გაარჩია:

სჯობს სიტოტხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი.

ჯავშანს შესაფერისი ფარიცა და მუზარადიც ჰქონდა. ორივეზე ოქროს იებსა და იებს შორის ოქროსივე ლომები იყო გამოხატული. მალე ომანიძიანთ იარაღებში ოქროს იებიანი ხმალიც აღმოჩნდა. ყველანი გატაცებით დასცქეროდნენ ძვირფას საჭურველსა და დიდის მოწიწებით ადებდნენ ზედ ხელსა.

—უთუოდ, ისინი იქნება,—სთქვა ეფრომ,—აი ტარიელმა რომ მდევების გამოქვაბულში იპოვა.

—უთუოდ, უთუოდ!—გაისმა ყოველ კუთხიდან ხმა.

—ნეტა ვის მოუვა კარგა?!—სთქვა ტურამ და თავის მხრებს გადახედ-გადმოხედა.

—აბა რაღა თქმა უნდა, ლომსა და არა ტურასა,—იხუმრა გიგიმ და გარშემო ხარხარი ასტეხეს.

ტურამ ტურის მზგავსი თვალები დააბრიალა, უნდოდა შეეკურთხნა გიგისათვის, მაგრამ ახლოს ფერო დაინახა და გაჩუმდა; განზე გადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერო ამ აურზაურის გამო სახლში აღარ შესულა, იდგა ხალხში და ყველაფერს თვალყურს ადევნებდა. ხანდ'ისხან ზაზას გადახედავდა ხოლმე და მეტყველი სახე ელრუბლებოდა. ქალის გული ვაჟკაცისაკენ მიიწევდა, მაგრამ სიამაყე თავს აკავებინებდა. ფეროს ვერ მოენელებინა ის, რაც გიგიმ უამბო ზაზაზე. მთელი საღამო ისე გაატარა, რომ ამ საერთო განსაცდელის დროს ვაჟკაცისათვის ხმა არ გაუცია. ზაზა გრძნობდა ქალის სულის ვითარებას. გული უტიროდა და ხან-გამოშვებით მძიმედ ოხრავდა. ომანიძიანთ იებიანმა საჭურველმა ცოტა არ იყოს დააინტერესა ჭაბუკი და გამოარკვია. მეომრის სულმა თავი წამოჰყო და ზაზას გაბედული ნაბიჯი გადაადგმევინა.

— ნებას მომცემთ ჩემზე გავსინჯო ეს საჭურველი?—შეეკითხა ფეროს მოწიწებით და, ბუნებით მორცხვი, ძალზე გაწითლდა.

— ეგ საჭურველი ჩემმა წინაპრებმა ქვეყნის დაცვისთვის შეიძინეს, და ახლაც სალაროდან მაგ მიზნით არის ამოტანილი,—უპასუხა ფერომ წყნარად და გიგისაკენ ადგილი გადინაცვლა.

ზაზამ თავი დაღუნა: უხერხულობა იგრძნო.

— გიგი, უთხარი, ვისაც კი შეუძლიან, ყველა შეიჭურვოს!—უბრძანა ფერომ თავის მამის ყმას.—დახანება აღარ დასჭირდა: ყველა გაფაციცებით შეუდგა საქმესა. ზოჯან ვარჯიშობაც გაიმართა.

— ხედავ, ტურა მგელს როგორ ებრძვის!—წამოიძახა გიგიმ.—ტყუილი ცდაა! ტურასაგან დაძალული მგელი ვის უნახავს?

—განახვებ, გიგი, განახვებ!—გასცა პასუხი ტურამ და მოწინააღმდეგეს ხმალი ხელიდან გააგდებინა.

ყველა სახტად დარჩა. არავინ მოელოდა ტურასაგან ასეთ სიმარჯვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ აგეთი ყოჩაღი იყავი, რატომ ბატონს არ გაჰყევი?—შეეკითხა გიგი და თან ხუმრობით დაატანა:—მეფეს გასაჭირიდან იხსნიდი.

— ბატონს უკეთესი ვაჟკაცი გავაყოლე,—მიუგო ტურამ.— ჩემი ძმა აფთარი ხუთ ჩემისთანას შეჰკრავს, მაგრამ რას იზამ, სჩანს ღმერთი გაგვრისხებია, რომ ასეთი უბედურობა თავს დაგვატყდა.

— ჩუმად, პატარა ხანი!—გაისმა ბრძანებითი კილო.—ყურთა სმენა აღარ არის.

ყველანი შეკრთნენ: ასე ეგონათ, საიდანმე დავით ბატონი გაჩნდაო და გაჩუმდნენ. მაგრამ თვალწინ იებიან ჯავშანში გამოწყობილი ზაზა დაინახეს.

— აი, ჩვენ წინამძღოლად ვინ უნდა იყოს!—სთქვა აღტაცებით ტურამ. —მაგასთან სიკვდილი ჩემთვის ლხინი იქნება.

ზაზამ ხელის ჩაქნევით ანიშნა გაჩუმებულიყო.

გალავანში ხმაურობა შესწყდა და გარედან ცხენების თქარა-თქური შემოესმა. გალავნის კარებთან ბულბულმა სტვენა ასტეხა.

— ჩვენები მოვიდნენ,—სთქვა ზაზამ.

კარები გააღეს და გალავანში მზვერავები შემოიჭრნენ.

— ზაზა, ჩვენ მოგიყვანეთ, თქვენ კიდევ გამოჰკითხეთ!—სთქვა ცელქმა.—რაღასაც ბურტყუნებს, ვერაფერი გავიგეთ-რა.

ზაზას წინ ირიბა-თვალებიანი არსება წამოუყენეს.

— სად წააწყდით?—ჰკითხა ზაზამ მზვერავებს.

— ტბის სამხრეთით მდებარე ველზე, აი ტყის წინ სუფრასავით რომ გადაშლილა, იქ დაბანაკებულა მტერი. ეს ტბის დასავლეთ ნაპირს ამოჰყოლოდა, დავიჭირეთ და წამოვიყვანეთ. მტერი ბევრი არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენზე კი ხუთჯერ მეტი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იცის თათრული? — იკითხა ზაზამ და მეომრებს თვალი გადაავლო.

— მე! — სთქვა ტურამ და წინ წამოდგა.

— დღეს ტურა ძალიან ამბავშია, — სთქვა გიგიმ. — თათრულიც რომ სცოდნია!

— რატომაც არ ეცოდინება, — სთქვა მგელმა, — თავის დღენი სულ თრევაში გაუტარებია.

— ეჰ, შვილო, ძალიან კი დაგწყდა გული აი, რომ ხმალი დაგაგდებინა!

— სუთ, კარგით! — დაუტიეს გიგისა და მგელს აქეთ-იქიდან.

ტურა გამოკითხვას შეუდგა. თათარმა, რაკი ნაცნობი ენა გაიგონა, ირიბი თვალები აუციმციმდნენ.

— აბა მითხარი, ე რა ჯარი დგას ტბასთან? — ჰკითხა ტურამ. — რამდენია? ჰა, მითხარი!

ტყვე ჯერ ჯიუტობდა, მაგრამ როცა ცხვირ წინ ხანჯალი დაინახა, ყველაფერი გადმოფქვა.

— ეგრე! — უთხრა კმაყოფილებით ტურამ. — თორემ ხომ იცი, სხვანაირი ლაპარაკიც ვიცი.

ტყვის ნაამბობიდან გამოირკვა, რომ ტბასთან დაბანაკებული რაზმი სამასი კაცისაგან შესდგებოდა. მთავარ ჯარს ჯერ ბრძოლა არ დაემთავრებინა და თავისუფლად ფრთა ვერ გაეშალა. მხოლოდ სულსწრაფთა პატარ-პატარა რაზმები მოსდებოდნენ სოფლებს და არბევდნენ.

ზაზამ გადაავლო თვალი მზირავში მოყრილ მეომრებს და სახეზე რაღაცა მოსაზრების აჩრდილმა გადაურბინა.

— აბა ჰკითხე, — უთხრა ტურას ზაზამ, — ეს რაზმი ახლავე ხომ არ აპირობს აქეთ წამოსვლას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვის სიტყვით, რაზმი დასასვენებლად დაბანაკებულიყო და ადგილიდან დილამდე ფეხს არ მოიცვლიდა. ზაზას ამის გაგონებაზე სახე გაუბრწყინდა.

— მაშ ღმერთს ჩვენზე მოწყალე თვალით გადმოუხედნია!—წამოიძახა გახარებულმა და მეომრებს მიმართა,—აბა, ვინ წამომყვება?.. ვინ წამოვა?.. მტერს ძღვენი მივართვათ!

— მე!—წამოიძახა ტურამ და ზაზას გვერდში ამოუდგა.

ტურას ცელქი მიჰყვა, ცელქს კიდევ დანარჩენები. სამოცამდე მსურველი აღმოჩნდა, მაგრამ ზაზამ მარტო ტურა, ცელქი და ოცდა ათი კიდევ სხვა გაიყოლა თან. პატარა რაზმმა დასავლეთისკენ დაუხვია და ულრან ტყეში გადაერია.

VII

შუალამე იქნებოდა. ვარსკვლავებს ჭახჭახი გაჰქონდათ. ტბის ახლოს დაბანაკებულ მტრის რაზმს ტკბილად ეძინა. უპატრონოდ მიტოვებულ ქვეყანაში საფრთხეს არაფერს მოელოდა და თავს უშიშრადა გრძნობდა. ორი დარაჯი დაეყენებინათ და იმათაც ძილქუში დასწოლოდათ. მხოლოდ მტრის ცხენების ჯოგის ფრუტუნი და ფეხის ბაგუნი-ღა ისმოდა და ტყის გამონაძახსა და შრიალს უერთდებოდა.

— მოიტანეთ?.. კარგა ბლომად წამოგიღიათ!—წამოიჩურჩულა მტრის ბანაკის ახლოს მდებარე ტყეში დამალულმა ზაზამ.

— ეჰ, ბატონო ზაზა, სხვა რამე დაგვავალეთ, თორემ ეს ადვილი შესასრულებელია,—გაისმა ჩურჩულითვე პასუხი.

— ტურავ, ნუ ჩქარობ! მოესწრობი!—უთხრა მოუთმენარ მეომარს მორბენალიძემ და იქვე მდგომ ცელქს მიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა. —აბა, ერთი წადი, წაიყვანე ათიოდე კაცი და ერთი ასიოდე საჭიგოვე ხე მოსჭერით! შენ კი, ტურავ, ჩქარა ნაბდები დახსენი და გაშალე. თითოს თითო ქუდი დაადე, რომ მერე წვალება აღარ მოგვინდეს.

— ბატონო, კვარებს დავამზადებ, ნაბდები კიდევ სხვამ გაშალოს... კვარებს კარგა ვაკეთებ,—მიუგო ტურამ.

— მაშ, აბა ერთი მგელს დამიძახე!

— ე მანდ მგელი, აი, დიდ ხეს რომ ამოსტუზვია.

— მართლა, ჩვენ ბუნაგში, რამდენიმე ტყავიც იყო მგლისა, არ წამოიღეთ?—იკითხა ზაზამ:—გამოგვადგებოდა.

— აბა, რას დასტოვებდა ჩვენი მგელი?—იხუმრა ტურამ.— დაინახა თუ არა თავის მოძმეების ტყავები, სიხარულით ცას დაეწია.

— ჰმუუ, — წამოიზმუკუნა მგელმა, — ტურავ, დამეხსენი!

— მგელო, მოდი ნაბდები დახსენი?—უბრძანა ზაზამ.

მგელი ნაჩვენებ საქმეს შეუდგა, ტურა კიდევ ხმელი ფიჭვის მოსანახად წავიდა.

არ გასულა სამი საათი, რომ ტყისა და ჭალის ნაპირებზე, მტრის ბანაკის სამივე მხრივ, სამი რიგი სარზე ჩამოცმული ნაბდებისა აღიმართა. თვითეულ სარს თავზე ბანჯგვლიანი ქუდი ეხურა. ზაზამ თავისი რაზმი სამად გაანაწილა. ერთი ნაწილი ტურას წინამძღოლობით ჭალის ნაპირებთან დადგა, მეორე, ცელქის წინამძღოლობით, სამხრეთით მდებარე ტყის ნაპირებთან, მესამე, რომელსაც ზაზა წინამძღოლობდა, დასავლეთით მდებარე ტყის ნაპირებთან. ნაბად-წამოსხმული მეომრები ნაბდიან სარებს ამოუდგნენ გვერდით. ყველას მოუთმენლად გული უცემდა: ბრძანებას ელოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა კი დროა,—სთქვა ზაზამ,— ცაზე მთიები ამოსცურდა, საცაა გათენდება. აბა, ნიშანი მიეცი!—უბრძანა ერთ თავის მეომარს და შვილდს შინჯვა დაუწყო.

დასავლეთით მდებარე ტყის ნაპირიდან მიდამოს ბულბულის ჰანგები მოედო.

— ყოჩაღ, კარგა უსტვენ!—შეაქო მორბენალიძემ მეომარი.

სტვენა გათავდა, ტბის ლელიანი აშრიალდა და ხუთი მგელი გამოძუნძულდა. მტრის ცხენების ჯოგი დაფრთხა და პირი თავის პატრონებისაკენ იბრუნა. გადარეული ცხენები ბანაკში შეიჭრნენ და ტკბილად მძინარე ადამიანებს კარვები თავზე დააქციეს. უცბად სამი მხრიდან მტრის ბანაკისაკენ ანთებული კვარები წამოვიდა და წაქცეულ კარვებს ცეცხლი მოედო. გამოღვიძებულმა მტერმა ქრობა დაუწყო, მაგრამ ვერას გახდა. ცეცხლი გაძლიერდა და არემარე მთლად გაანათა. მტერმა საითაც კი გაიხედა, ყველგან ნაბდიანებს მოჰკრა თვალი: ეგონა თავს დიდი რაზმი დამეცაო, და მთლად დაიბნა. ერთმანეთს ველარ სცნობდნენ. გონება-დაკარგულებს სამი მხრიდან სამმა პატარა რაზმმა ჟლეტა აუტეხა. ლელიანიდან გამოსული ხუთი მგელი მეომრებად გადიქცა. ამ ამბავმა ხომ სულ ენა ჩაუგდო პირში მტერსა. მგლის ტყავებში გახვეული ადამიანები ჯოჯოხეთიდან გამოსულებად იცნეს...

VIII

მზირავში თინანოს გარდა არავის სძინებია. ყველა მოუთმენლად მოელოდა გალავნიდან გასული პატარა რაზმის დაბრუნებას. როცა მტრის ბანაკს ცეცხლი მოეკიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომანიძის ციხე-დარბაზამდისაც მოახწია შუქმა. ყველანი ბურჯებზე აცვივდნენ და თვალწინ განათებული ტბა წარმოუდგათ.

— ყოჩაღ, ბიჭო, მორბენალიძევ!—წამოიძახა ეფროამ.— ეს ნამდვილად მტრის ბანაკი იწვის, თორემ მანდეთ სხვას რას წაეკიდებოდა ცეცხლი.

ფერო იქვე იდგა, და ზაზას ქება რომ გაიგონა—იამა.

— ნაცადი ბიჭია და, ჩემო ეფრო!—გამოელაპარაკა გიგი ზაზას მეხოტბეს.—შენ კარგად გეხსომება, ზაზამ მამას სამაგიერო რითი გადაუხადა. ისეთი საზაფხულო სახლი გადაუწვა, რომ ერთ რამედ ღირდა!.

ამ სიტყვებმა ფეროს გულზე უკბინეს და დააღონეს. ქალს ისიც გაახსენდა, გიგიმ წინად რომ უამბო ზაზაზე. სახეზე ზიზღი აღებეჭდა.

ეფრო კი მიუტრიალდა გიგის და ცოტა არ იყოს წყრომით უთხრა:

— ეჰ! ნეტავი შენა, კაცო! აიჩემებ ხოლმე ერთ რამეს და აღარ გაათავებ! მგონი მეორმოცეჯერ მეუბნები ზაზაზე ცუდსა. ხანში შესული კაცი ხარ, როდი უნდა აჰყვე ჭორებსა. ჭორები დედაკაცების საქმეა.

— მაშ ყველაფერი, რასაც ზაზაზე ამბობენ, ჭორია, ჰა?—შეეკითხა დაცინვით გიგი.

— ჭორია მაშა!.. იქნება შენ მამუკას ცოლი ანგელოზი გგონია?.. ან გინდაც რომ მართალი იყოს ყველაფერი, ემაგ კაცს ჩვენ მაინც უნდა ვუმადლიდეთ. ეგ რომ არა ყოფილიყო, ვინ იცის შენი ბატონის ლამაზ მზირავს დღეს რა დაემართებოდა!

— რა დაემართებოდა? ხედავ ამ კედლებსა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგაზე სქელი კედლები მინახავს ძირს განრთხმული. ან არა და ალარ გახსოვს, შენი ბატონის ქალს რო ეხვეწებოდი მთებში გავიქცეთო?

ფერო ამ ლაპარაკს გულმოდგინედ ყურს უგდებდა. ქალს იამა, როცა ეფრომ გიგის ნალაპარაკევს ზაზას თაობაზე ჭორი დაუძახა, მაგრამ ის კი ძალიან ეწყინა, როცა მზირავს კედლები დაუწუნეს.

— მამა აქებდა ჩვენ ციხე-სიმაგრეს!—წამოიძახა მედიდურად ფერომ.—მამა თავის დღეში ტყუილს არ იტყვის!

— ბატონიშვილო, კაცი შეიძლება ტყუილს არ ამბობდეს, მაგრამ შეიძლება სცდებოდეს,—უპასუხა ეფრომ.—ან გინდ ციხეს ძალიან მაგარი კედლები ჰქონდეს, როცა მე და გიგისთანა დამცველები ვეყოლებით, ვეჭობ, რომ მტერს გაუმაგრდეს.

— კაცი შეიძლება ტყუილს არ ამბობდეს, მაგრამ შეიძლება სცდებოდესო,—გაიმეორა ფერომ ეფროს სიტყვები და ფიქრს მიეცა.—იქნება ზაზაზედაც სცდებიან?—სთქვა ქალმა გულში.—იქნება მამაც ჭორს უჯერებდა?.. აგე რა უთხრა ეფრომ გიგის: იქნება შენ მამუკას ცოლი ანგელოზი გგონიაო. ვინ იცის, იქნება ქალმა ცილი დასწამა? დედინაცვალი არ არის!.. ვინ იცის, ვინ იცის!—გაიმეორა რამდენჯერმე ფერომ და გარემოს თვალი გადაავლო.

გათენებულიყო. ბურჯებზე მდგომნი ისევ ტბის მხარეს გაიცქირებოდნენ.

— ფერო, შვილო, გეყოფა მაგდენი უძილობა!—მოისმა დარბაზის აივნიდან ახლად გამოღვიძებულ თინანოს ხმა.—მოდი მოისვენე, შვილო!

— ბატონიშვილო,—უთხრა ახლა ეფრომაც,—წაბრძანდით. ჯერ-ჯერობით ხიფათი თავიდან აგვცილდა. იმედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგშიაც კეთილად დაბოლოვდეს ჩვენი საქმე. იქნებ ღვთის წყალობით მეფეც ისე გადარჩეს, როგორც ჩვენ, ზაზას წყალობითა.

ფერო ჩამოვიდა ბურჯიდან და თინანოსაკენ გასწია. თვალწინ გამარჯვების შარავანდედით შემოსილი ზაზა ეხატებოდა.

ინ-ბანი

(შემდეგი იქნება)



*
* *

(ვუძღვნი ტასიკო ზუბიაშვილს)



ვავილების მოციქულსა
და ჩემ გულის სიხარულსა,
ვინც პირველად დამაწაფა
ნორჩ ბალღების სიყვარულსა, —

დღეს აქა მყავს ფრთა-გაშლილი,
ყვავილთ შუა სძინავს, ფშვინავს;
გული ჩემი ტკბილად ტოკავს,
სული ჩემი ნათლად ბრწყინავს.

რაკი ვარდი გამეშალა
და შტო მზემდე აიტანა,
ახლა ველარ დამაბერებს
ვერც კაცი და ვერც სატანა.

ღმერთო, ღმერთო, ეს ღვთის შვილი
მე გავზარდე, ჩემი არი:
არ გეგონოთ მოპარული,
არ გეგონოთ ნაჩუქარი.

ერთ მშვენიერ დღის ნათელში
ობოლ იად მომეევლინა,
მშობლის წილად მე ჩამთვალა
და ჩემ გულში ჰპოვა ბინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ოდესმე ჰყვარებია
შვილს მამა და მამას—შვილი,
იმ სიყვარულს ვაასკეცებთ
მე და ჩემი გამოზრდილი.

და სანამდის ცოცხლები ვართ,
მზეს ვუყურებთ, თუ მზის ჩრდილებს,
ვეცდებით, რომ ეს გვირგვინი
მთლად გადავცეთ შვილით შვილებს.

შიო მღვიმელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ზღაპარი

(შემოდგომის სურათები)

აქართველოს ხევებში დაჰქრის ძ გულსაკლავად ღმუის ქარბუქი.

ჩემი ქოხი სდგას მთის ფერდობზე და მოწყენით გადაჰყურებს ოდესღაც გიჟმაჟ მდინარის კალაპოტს. მახსოვს – მისი ლურჯი ტალღები მობანავე ბიჭ-ბუჭებს ნაზად გვიალერსებდა; ახლა რიყე-ღა მოსჩანს ამის ალაგას და ხავს-მოკიდებული ქვები. მთაზე ალარ არის მწარე მწვანე ბალახ. მთელი არემარე გადამხმარია ყვავილების მაგივრად, რომელნიც მხიარული სალამით მომეგებებოდნენ ხოლმე, იმათკენ საალერსოდ მიმავალს, ახლა გამხმარ ეკლებსღა ამოუყვიათ თავები. სადღაა ახლა ის ხავერდის ფერადფერადი ხალიჩა!

ოჰ, რა გულ-საკლავად ზმუის ქარი ფანჯრის ქვეშ! რა დაჟინებით უვლის გარშემო ქოხს და ხან სარკმელს დამიკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნებს, ხან სახურავს ებრძვის, რომ მოხადოს და თავისუფლად შემოიჭრას შიგ.

—

წელს გაზაფხული ძლიერ მოკლე იყო. ბევრ სიხარულს და სიტკბოებას გვიქადდა იგი. ცხელი და მშრალი პაპანაქება ზაფხულიც მალე გაჰქრა; დადგა შემოდგომა შიშველი, უნაყოფო. იგი სიკვდილს და სიღატაკეს უქადის ხალხს და მხოლოდ ქარი დაჰქრის თავისუფლად კლდე-ღრეებში. ხეხილი თრთის და ცახცახებს. ადამიანს სისხლი ეყინება. სიცივე და კრძალვა-შიში ძვლამდის ატანს. მგლის ხროვაც ქარს აჰყოლია და თავისუფლად გამოდის გარედ ღმუილით. ადამიანი კი პარვით დადის და ცდილობს თავის ქოხში მოიკალათოს.

წყალდება და ჩანაგდება უკანასკნელი ლუკმა, ტანჯვით და ვაებით მონაგარი.

—

აგერ ნაბდის ძველაში გახვეული მეურმე ზანტად მიაჭრიალებს გამხმარ სიმინდის ფუჩეჩით დაზურგულ ურემს. ფუჩეჩის გამხმარი ფოთოლი, ულად შრიალებს. მეურმე თავის მწუხარე სიმღერას ღიღინებს. სევდიან თვალს ავლებს გაშიშვლებულ მთებს, ოდესღაც დაბურულ ტყით და მწვანე ყანებით მორთულს, ხედავს თვალწინ დაობლებულ სოფელს, გადამხმარ, გაშიშვლებულ ხეებს, და თავს აქნევს.

„გამარჯვება შენი, ძმობილო!“ მინდა მივესალმო, ნაგრამ მეურმე ისე ბოროტად, ისეთი სიძულვილით მიცქერის, რომ ენა სასას მეკრობა, გული მუშტივით მეკუმშება და ღრმად იმალება მკერდ ქვეშ.

„რისთვის გძულვარ ეგრე, ძმობილო? იმისთვის თუ, რომ მეც შენსავით ადამიანი ვარ, იმისთვის ოუ, რომ მეც შენსავით მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს ამწვანებული ტყე, მისი შრიალი, მიყვარს ოქროს ტალღები მობიბინე ყანისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ მიწყრები, მომეცი ნება მიყვარდე ისე, როგორც მიყვარდნენ მხიარულ ყმაწვილობაში წვერ-ულვაშიანი ძიები, როდესაც მე მუხლებზე ვუჯექი ხოლმე. კალოს მსხალს ვკბეჩდი. ცელქად ფეხებს ვიქნევდით—ზღაპრებს ვუამბობდი მათ და ლექსებს ვტიტინებდი, ერთად-ერთი წერა-კითხვის მცოდნე მთელ სოფელში.

—

ოჰ, რა გულ-საკლავად ზმუის ეს ტიალი ქარ ბუქი!

მთიდან ფერდობზე მოდის ქალიშვილი. ფეხი უსხლტება ხმელ ბალახზე. ფერადი კაბის კალთები ქარზე უფრიალებენ. ფერიასავით მოსცურავს ქალი მთაზე. მე გული მიცემს სიხარულით. ასე მგონია, ფერია ჩემთან მოდის, რომ რაიმე სასიამოვნო ამბით გამახაროს. შევცქერი შორიდან, მინდა გავარჩიო ფერიას სახე. ვხედავ შავ თვალებს, ბედნიერების წყურვილით აღსავსეს. ტუჩებზე უმიზეზოდ ბედნიერების ღიმილი უთრთის. თვით სიხარული შურით ივსება და მირბის მისკენ. მკერდი ადის, ჩადის და ხარბად ყლაპავს ჰაერს, თითქოს არ ჰყოფნის ჰაერი, მეტი და მეტი ყვავილის სურნელების ჩაყლაპვა სურს.

მაგრამ... მომიახლოვდა ქალწული, და რას ვხედავ? მუშტივით გამხდარი, ოთხ-კუთხი სახე, გახუნებული თვალები. ბედნიერების და სიხარულის უიმედო მოლოდინით გაციებული ფერფლივით მიმქრალი. ჩავარდნილი ფიცარივით გამხმარი მკერდი, გაფითრებული, დანაოჭებული, გაციებული ტუჩები.

აი, დაიხარა ქალი და ეძებს რაღაც ბალახ-ბულახს, რომ დამშეულ ბავშვებს ვახშამი მოუმზადოს. ქარი მუჭა-მუჭა აყრის პირში მტვერს და ღმუის, ღმუის გულ-საკლავად.

ბინდი ნელ-ნელა ჩამოაწვა ქვეყანას. ჩუ! რა ხმაა? მგლის ყმუილია, თუ ქარმა უმატა ღმუილს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრა მივჭედე სარკმელი. ქოხში თან-და-თან ბნელდება.

—

ეს ჩემი ქოხი ისევ ისეთია, როგორიც ჩემ პატარა ბიჭობაში მახსოვს. აი ის ტახტი, გახუნებული ფარდაგით და გაცვეთილი მუთაქით, რომელზედაც წავგორდებოდი ხოლმე ლამპარის მბჟუტავ შუქზე. გამდელი გვერდს მიჯდა და ზღაპრებს მიამბობდა. თან თვლემა ეპარებოდა. ხმას ხან აამაღლებდა, ხან ჩაეხლიჩებოდა ძილ-მორეულს. მე თვალებით ლამპრის შუქს მივჩერებოდი, მაგრამ ზღაპრისა კი ერთი სიტყვაც არ გამომეპარებოდა. თვალები ხან ამენთებოდა შიშით, ან მღელვარებით, ხან უდარდელად მიცინოდა.

ამ დროს ჩემი დიდედა წალოსთან ფუსფუსებდა ჩვეულებრივი მზრუნველობით. ლოგინს ამზადებდა. როცა კარგად ძილი მომერეოდა და თვალების ფშვნეტას დავიწყებდი, დიდედაჩემი გულს მიმიკრავდა ⁄ წამიყვანდა ლოგინთან. დედაჩემს ძუძუთა ბავშვი ჰყავდა და იმის მოვლას უნდებოდა.

როგორ მიყვარდა დიდედას მკერდში ჩახუტება. როგორ მიყვარდა იმისი მზრუნველობით წინ წახრილი კისერი, იმისი სიყვარულიანი თრთოლა პატარებთან და იმისი მკვახე, პირდაპირი ლაპარაკი დიდებთან.

მაგონდება ყველა ეს და მინდა საყვედურით მივმართო ორივეს, დიდედასაც და გამდელსაც:

რად შემაყვარეთ ასე სიცოცხლე, ჩემო ძვირფასნო! რად შემაყვარეთ ასე ზღაპარი? სასწაული ვიწამე და მოველოდი ღლითი ღღე და... სად არის სასწაული? მე სიყვარული ვიწამე და სიძულვილის მეტს ვერასა ვხედავ; მეგობრობა ვიწამე, და გარშემო სულ მტრობაა.

სად არის, სად, თქვენი ზღაპარი, სად არის სიყვარული და მეგობრობა, ან როდისღა იქნება, თუ ახლაც, გაჭირვების დროსაც არსადა სჩანს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფიქრში — არ ვიცი მიმეძინა, თუ ბურანში ვიყავი.

მომეჩვენა, რომ მოვიდნენ ორივენი, დიდედაც და გამდელიც. კედელზე რაღაც სიტყვები დამიწერეს.

ჩავაკვირდი ამ სიტყვებს, მინდა წავიკითხო, მაგრამ ვერ ვკითხულობ.

ჩავაკვირდი კიდევ, ჩავთვალე ასოები, მაგრამ ამერია.

ჩავაკვირდი მესამედ და უცებ ბოლომდის წავიკითხე, დაწერილიც მაშინვე წაიშალა.

ახლა შენც იცი, თუ როგორია ცხოვრება. ახლა ჩვენი ზღაპრები პატარეებს უამბე ხოლმე. ბავშობაში გაახარე, ბავშობა გაუტკბე".

—

გამოვერკვიე... კაი ღამე გადასულიყო. ქარს ყური მივუგდე. ხმაურობა აღარ იყო. მხოლოდ შორიდან ტყეში ხეების ლაწა-ლუწი ისმოდა.

მომაგონდა ხევში, წყლის პირას, მყუდროში, ჩემი პატარა ბაღჩა. ახლა იქ ჯოხებივით შიშველა ხეხილებია. მაგრამ... დადგება გაზაფხული. ამ გარდუვალ კანონს ვერ ააცდენს ბუნებას ვერც ქარბუქი და ვერც ადამიანის ბოროტება. დადგება გაზაფხული და უშნო, შიშველი ხეები ყვავილს გამოიტანენ. საუცხოო სახიანი, თეთრი ალუბლის ყვავილი. პირისფერი ატმის ყვავილი, ხუჭუჭა თეთრი ყვავილები მსხლისა. ყველა ეს იქნება, იქნება აუცილებლად. და ესეც სასწაული! ესეც თქვენი ზღაპარი სინამდვილეში!

იქნება მე სუსხიან ზამთარს ვერც კი გადაურჩე, იქნება ქარმა ჩემი ქოხიც მოგლიჯოს და ჩემიანად სადმე უფსკრულში გადაისროლოს.

ყვავილები კი იქნება აუცილებლივ. და მათი მშვენიერებით დასტკბებიან ნორჩი ბალღები.

მაშ ხვალ სისხამ დილით ჩავალ ჩემ ბაღჩაში და გავათავებ ჩემ საბარავს. ხეებს შემოვუბარავ გარშემო. კვლებს გავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთებ. ბოსტნეულსაც დავთეს—და—ყვავილებსაც. წყალსაც შორიდან მოვზიდავ და დავუსხამ. დეე გაიხაროს, ვინც ამ სუსხიან ზამთარს გადაურჩება.

—

ეს ვიფიქრე, გავედი აივანზე, ჩამოვიღე თოხი და ბარი, მოვაცალე ზედ დიდიხნის შემხმარი ტალახი და კუთხეში მივაყუდე, რომ ხვალისთვის მზად მქონოდა.

გიგო ნათაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეკით ფეხი... ჩემი ფეხი... ის მრთელი ფეხი!..

(ძღვნად გაბო ლომთათიძეს)

„ჯოჯოხეთში ყვირილია,
გაგონება არ არისო“.
ხალხური.

ალავადმყოფოს ფანჯარასთან იყო მიმდგარი, შორს გასცქეროდა მეომარი, — ბრძოლის ველისკენ. იდგა მხოლოდ-ღა მარჯვენა ფეხზე და იღლიებით დაყრდნობოდა ორ ყავარჯენს...

გინახავთ მთის არწივი, მონადირის ეზოში მყოფი, რომელსაც ფრთები ჰქონდა დათხრილი იმ განზრახვით, რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრენილიყო?.. არწივი კი თავის დიდრონ, ცეცხლის მკვესელ თვალებს აბრიალებდა?.. ცის სივრცეში იცქირებოდა, ფიქრით მთის წვერებს თავს ევლებოდა?.. როცა გაფრენას მოისურვებდა, უსარგებლოდ მხრებს შეაქანებდა?.. გულზე სკდებოდა, სული უწუხდა, ვერ სცილდებოდა მიწას—მოსაწყენს?!..

ხომ კი გინახავთ ამ ყოფაში უფრთო არწივი?..

და ის ჭაბუკიც, ცალ-ფეხ წაჭრილი, ფანჯრებიდან შორს იცქირებოდა... გრძნობით ამბობდა: „მომეცით ფეხი!.. ჩემი ფეხი!.. ის მრთელი ფეხი!.. გავალ ბრძოლის ველს და მტერს შევსძახებ, რომ დაეტიოს საკუთარ ტყავში... თანამებრძოლებს, ჩემს მეგობრებს ვეტყვი—შეჩერდნენ, გაბრუნდნენ სახლში... და დავითანხმებ... და დავითანხმებ... ერთმანეთს ძმურად გადავაკოცნინებ... და სამუდამოდ, და სამუდამოდ მოვსპობ სისხლის ღვრას კაცით კაცისას... და შევაბრუნებ ორივე მხარეს და ომის ღმერთსა მოვაკვლევინებ... იმათ დროშაზე დავაწერინებ: **ძმობას, ერთობას** და **სიყვარულსა**...

„მომეცით ფეხი, ჩემი ფეხი, ის მრთელი ფეხი!.. წავალ, ცოლ-შვილს ვესტუმრები და გავახარებ... მოხუც დედ-მამას ჩავეხვევი, მკერდში ვაკოცებ... და უკანასკნელ დღეებს დაუტკბობ ჩემის ხილვითა...

მომეცით ფეხი... ჩემი ფეხი, ის მრთელი ფეხი!.. მისთვის მომეცით, რომ წავიდე, ნაცნობ ალაგებს ვესტუმრო **ერთხელ და უკანასკნელად**... ნაცნობ ტყეს და მთებს, კლდეს თუ ხეს, ბალახს, ქვას და მდინარეს ჩავეხვიო, გრძნობით ვაკოცო... წავალ, და ერთხელ, მხოლოდ ერთხელ... ხომ გესმით—ერთხელ გავიმეორებ ყველა იმასა, სად რა მიქნია: დალხინებას, თუ გაჭირვებას გავიმეორებ... და არ დავსტოვებ მე არაფერს, არც მცირე რასმე, რაც სიმრთელის დროს შემხებია, ან შევხებივარ...

ახლა კი რა ვქნა,—სულ პირველად სიდან დავიწყო?.. მაგრამ, ეჰ... დიახ... მომეცით მე ის მრთელი ფეხი—ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხი და გამამრთელეთ!.. უკანასკნელად შემოვიარო ის ადგილები, სადაც მივლია, ნაცნობია ჩემი გულისა, რომ განვიცადო მე სიამე დიდი, უსაზღვრო... ეს მხოლოდ ერთხელ... და მერმე კი... გაძლევთ პირობას—მოგცეთ თავი წასაჭრელად, თავი, რომელმაც შეიძლება ას წელს იცოცხლოს... ვიცოცხლო მხოლოდ ერთ ალაგას, დანასახიჩრებულმა, ვიცოცხლო ისე, ვით არწივმა ფრთებ-მოკვეცილმა...

... დიახ... მომეცით, მომეცით მე ბედნიერება... არა ერთი წლით, არამედ მხოლოდ ერთის დღითა... მხოლოდ ერთის დღით... გთხოვთ... გევედრებით — დამიბრუნეთ მე ჯანმრთელობა: მომეცით ფეხი!.. ჩემი ფეხი, ის მრთელი ფეხი!..

—

და დაღალული ფეხზე დგომითა უცებ მობრუნდა ცალფეხა იგი, გულზე მოეშვა. მოუარა ძველმა სისაღემ... ჩქარა გავლა მოინდომა მან... და გაქანებულს ყავარჯნები ძირს დაუცვივდა, და იატაკზე მაგრად პირქვე დაემხო, ჯერ არ მორჩენილ ჭრილობიდან დაენთხა სისხლი და მარმარილოს იატაკი წითლად შეღება...

ცალფეხა გ. ლომთათიძე





ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ერგებოდა ოქროს-ტარიანი მათრახი

(ხალხური)

ყო და არა იყო-რა,—ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,—იყო ორი მგზავრი. მიდიოდნენ გზას. ერთი იჯდა ცხენზე, მეორე—ვირზე. ცოტა იარეს, თუ ბევრი იარეს, შორს დაინახეს რაღაც ბრჭყვიალა საგანი და გაეშურნენ იმისკენ. ორივე ერთ და იმავე დროს დასწვდა ასაღებად. ეს ბრჭყვიალა საგანი გამოდგა ოქროს-ტარიანი მათრახი. ერთი ამბობდა,—ჩემია ოქროს ტარიანი მათრახი, რადგანაც პირველი მე დავწვდიო;—არა, მე მეკუთვნისო,—გაიძახოდა მეორე.—ილაპარაკეს, იჩხუბეს და ბოლოს ასე გადასწყვიტეს: შესულიყვნენ მახლობელ სოფელში, შეეყარათ ხალხი და ეამბნათ მათთვის თავიანთი თავგადასავალი; რომლის თავგადასავალსაც უფრო მოიწონებდა ხალხი, ოქროს-ტარიანი მათრახიც იმას უნდა დარჩენოდა.

მივიდნენ მახლობელ სოფელში, დაუძახეს ხალხს, აუხსნეს, რაშიაც იყო საქმე, და სთხოვეს გასამართლება. პირველმა დაიწყო ცხენზე მჯდომმა მხედარმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ჩვენი სოფელი გაღარიბებული იყო, და იმ ღარიბთა შორის ყველაზე უღარიბესი მე ვიყავი. არც სახლი მქონდა, არც კარი, არც საჭმელი და არც სასმელი. სამუშაო არა იყო-რა სოფელში. ერთ დღეს დავკარი ფეხი და ჩამოვედი ქალაქს იმ იმედით, რომ რაიმე სამუშაო მეშოვნა; მაგრამ მოვსტყუვდი. ძებნაში ღამდებოდა დღეები და მშიერ-მწყურვალე ვათენებდი ღამეებს ცის ქვეშ. ერთ დღეს დაღალულ-დაქანცული ვიდექი საყასბოს წინ და შევცქეროდი ბედნიერ ხალხს. სხვათა შორის იმ საყასბოში შევიდა მდიდრულად ჩაცმული, მაღალ-მაღალი, შავგვრემანი კაცი; იყიდა ხორცი და გამოვიდა გარედ. მე ვსთხოვე—ხორცს წაგიღებ-მეთქი. შავგვრემანმა კაცმა გადმომცა ხორცი და გავყევი უკან.

დიდხანს ვიარეთ; გავედით ქალაქ გარედ; ვიარეთ და ტრიალ მინდორზე მივადექით ერთ დიდ სასახლეს. „ეს ჩემი სახლიაო,—სთქვა იმან, გამომართვა ხორცი და მაჩუქა ფული. მეც მადლობა გადაუხადე და გამოვტრიალდი წამოსასვლელად. „მოიცაო“. მიბრძანა იმან. „შემოდი ჩემთან, დაისვენე, ცოტა დანაყრდი და მერე მშვიდობით მგზავრობა მოგცეთ ღმერთმაო“.

შევედით. გაშალა სუფრა. ჩვენც მოუსხედით. რა გინდა, სულო და გულო, ზედ არ ეწყო. „მიირთვიო“, მეპატიჟებოდა მასპინძელი და მეც, მოგეცათ ღვთის წყალობა, ამდენი ხნის დამშეულმა, ვიყარე გულის ჯავრი.

ამასობაში კიდეც შებინდდა, და დავაპირე წასვლა. მაგრამ მასპინძელმა არ გამიშვა. „გვიან არის, თანაც ცივა: აქ გაათიე ღამე, და ხვალ დილაზე ადრე წადიო“. მადლობა გადავუხადე და დავრჩი.

მასპინძელი გამიძღვა წინ და შემომატარა თავისი სადგომი. მეცამეტე ოთახში რომ შევედით, მისმა სიმდიდრემ თვალი მომჭრა. ოთახი სავსე იყო თვალ-მარგალიტით. ვახშამზე ჩემმა უხვმა მასპინძელმა თავისი ქალიშვილი და ქვრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძალი გამაცნო და მითხრა: „შენ ისე მომეწონე, რომ უნდა დაგისიძო. აირჩიე ამ ორში ერთ-ერთი და ეს სიმდიდრეც შენთვის დამილოცნიაო“. მე გონება დამებნა: არ მესმოდა, სიზმარში იყო ყველა ეს, თუ ცხადლივ. ავდექი და რძალი ამოვირჩიე, იმ მოსაზრებით, რომ ქმარ-შვილ გამომვლილია და ოჯახის ყადრი ეცოდინება-მეთქი. ვახშამზე ძალიან მოვილხინეთ. მეორე დღეს უთენებლივ გამაღვიძა ჩემმა სასიმამრომ და მითხრა მოვმზადებულიყავი წასასვლელად.

ეზოში რომ გადვიხედე, ჯორ-აქლემები უკვე მზად იყვნენ. შევსხედით ცხენებზე მე და ჩემი მასპინძელი და გაუდექით გზას. ცოტა ვიარეთ, თუ ბევრი ვიარეთ უგზო-უკვლოდ ტყეღრეში, ბოლოს მივადექით ერთ ფრიალო კლდეს. გადმოვხტით ცხენებიდან. მასპინძელმა კლდის ნაპრალიდან ამოიღო წკეპლა, გადაჭკრა კლდეს. კლდემ პირი ქნა და გამოჩნდა გამოქვაბული. ჩამოვხსენით ჯორ-აქლემებიდან ტომრები, შევიტანეთ გამოქვაბულში და ავავსეთ თვალ-მარგალიტით. გამოვზიდეთ სავსე ტომრები და ავკიდეთ ჯორ-აქლემებს.

ის-ის იყო უნდა შევმსხდარიყავით ჩვენც ცხენებზე, რომ ჩემმა სასიმამრომ მითხრა: „შეიტანე, ეს ხურჯინიც აავსეო“. ჩამოვართვი ხუუჯინი, შევედი გამოქვაბულში. ვერ მოვასწარი ხურჯინის ავსება, რომ ჩემმა მასპინძელმა, გადაჭკრა კლდეს წკეპლა. კლდე შეერთდა, და დავრჩი მომწყვდეული.

სიბნელეში დარჩენილმა დავიწყე უგზო-უკვლოდ ყიალი და ხელების ფათური; აქა-იქ ძვლების ხროვას წავაწყდი; მივხვდი, რომ მე პირველი მსხვერპლი არ ვიყავი ჩემი მასპინძლის ოინებისა. ფიქრებმა წამიღო და სასოწარკვეთილი მივეყრდნე ნოტიო კედელს. უცებ რაღაც სულიერი არსება ვიგრძენ. ვტაცე ხელი,—გაიწია. დიდხანს მაფხოკიალა და, ჩემდა გასაკვირველად, სინათლეზე გამიტანა. ვნახე, რომ მგელი იყო. ეტყობოდა არა-ერთხელ შესულიყო ამ ხვრელით, მომწყვდეულ ადამიანების შესაჭმელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთს მადლობა შევწირე გადარჩენისთვის და გავუდექი გზას. ვიარე, ვიარე, და ჩავედი იმ ქალაქში, სადაც უწინ ვიყავი. ისევ ძველ საყასბოს წინ გავჩერდი. დიდხანს ცდა არ მომიხდა; საყასბოში შემოვიდა ისევ ის მდიდარი კაცი, ჩემი მტერ-მოყვარე. იყიდა ხორცი, გადმომცა, წამიყვანა სახლში, გამიმასპინძლდა ძველებურად. ქალი და რძალი გამოიყვანა და მითხრა—საცოლედ ამერჩია ამ ორში ერთ-ერთი. რძალს ილბალი არ ჰქონია-მეთქი, და ქალიშვილი ავირჩიე. ერთი სიტყვით, ჩემი მასპინძელი ისე მომექცა, როგორც პირველ შემთხვევაში.

ალიონზე მივადექით ისევ იმ ძველ ფრიალო კლდეს. ნაპრალიდან ამოიღო წკეპლა და გადაჰკრა კლდეს; კლდემ პირი ქნა და გამოჩნდა გამოქვაბული, სავსე თვალ-მარგალიტით. ჩემმა სასიმამრომ მითხრა:—„შედი, გაავსე ტომრები თვალ-მარგალიტით, გამოიტანე და ჯორ-აქლემები დატვირთეო“. მე ადგილიდან ფეხს არ ვძრავდი. „რას გაჩერებულხარ! შედი, რაღას უყურებო!“—გამიმეორა სასიმამრომ.—„მეშინიან, ვერ შევალ“,—ვუპასუხე მე.—„აი, შე გლახა, გამომყეო“,—მითხრა მან და შევიდა გამოქვაბულში. ვისარგებლე შემთხვევით, საჩქაროდ დავწვდი წკეპლას, გადავკარ კლდეს და ჩემი სასიმამრო ჩავაგდე იმ მდგომარეობაში, რომელშიაც პირველად მე იმან ჩამაგდო. გამოუძეხი ჯორ-აქლემებს, მოვიყვანე ჩემ მასპინძლის სახლში, დავიწერე იმის ქალზე ჯვარი და გავხდი მფლობელი აუარებელი სიმდიდრისა.

ასე გაათავა თავისი ამბავი ცხენზე მჯდომმა.

— ახლა ჩემს ამბავს გიამბობთ,—სთქვა ვირზე მჯდომმა, და დაიწყო: — მე ერთი მდიდარი ვაჭრის შვილი ვარ. მამა-ჩემმა ერთ მდიდარ, ლამაზ სოვდაგრის ქალზე დამნიშნა. რამდენჯერაც კი ვივახშმე ჩემ საცოლესთან, ვახშამზედვე ღრმა ძილი მომივიდოდა და ჩემს გარშემო რა ხდებოდა—არაფერი მესმოდა. აქ რაღაც უცნაური ხდება-მეთქი, ვიფიქრე და კვლავ

ვახშამზე მიწვეულმა ხელი აღარას ვახლე; მოწოდებული ღვინო მალულად გადავაქციე და თავი მოვიმძინარე. ხვრინვა რომ ამოუშვი, ჩემმა საცოლემ გულიანად გადიხარხარა; მივიდა სარკესთან, მოლამაზდა, მოკოპწიავდა, გავიდა და გაიხურა კარი. მე ფეხაკრეფით უკან დავედევნე. შევიდა ჩემი საცოლე თავლაში, შეკაზმა ცხენი, მოახტა და გააქროლა; შევარდი მეც თავლაში, შევჯექი მეორე ცხენზე და გამოვუდექი.

ჩემმა საცოლემ მთა-მინდორი გადალახა, შევიდა ერთ დაბურულ ტყეში, ცხენი ხეზე მიაბა და შემდეგ შევიდა დანგრეულ ციხე-დარბაზში. მეც ჩამოვხტი ცხენიდან და შევიხედე სარკმელში, საიდანაც სინათლე გამოდიოდა; ვხედავ, რომ ოთახში სუფრა გაშლილია, ზის არა ჩვეულებრივი, უზარმაზარი, ბეწვით შემოსილი შავი კაცი და ჩემ საცოლეს ეალერსება. სული ყელში მომებჯინა, სიბრაზისგან ვიხრჩობოდი. მივხვდი, თუ რისთვის მაძინებდა ხოლმე ჩემი საცოლე. მინდოდა შევარდნილიყავი, მაგრამ შევჩერდი, რომ უფრო მოხერხებული დრო მეპოვნა. ამ დროს, ჩემს ილბალზე, უზარმაზარი კაცი სუფრიდან წამოდგა და კარებისკენ გამოემართა. მე იქვე კედელს ამოვეფარე და, როდესაც გარედ გამოსული თავს წამომადგა, მოულოდნელად გულში დანა დავეცი. მოვაჯექი ჩემ ცხენს და დავბრუნდი ჩემ საცოლოს სახლში.

დავჯექი იმავე ადგილას და თავი მოვიმძინარე. არ გასულა დიდი ხანი, შემოვარდა ჩემი საცოლე წივილ-კივილით, ამოიღო ბოლჩიდან ჩემგან მოკლული კაცის თავი, დაიდო წინ; სტიროდა, მოსთქვამდა და სწყევლიდა იმას, ვინც იყო მიზეზი იმის ბედნიერების დარღვევისა.

მე გულმა ვეღარ გამიძლო, მოთმინება დაკარგული წამოვარდი ზეზე და შევყვირე:

—ეგ მე მოვკალი, და შენც ღირსი ხარ სიკვდილისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ შენ მოჰკალიო?—სთქვა გააფთრებულმა ქალმა, გადაჰყო ხელი ტახტის უკან, ამოიღო წკეპლა, გადმომკრა და თან დაუმატა: „ძაღლი ხარ, ძაღლად იქეციო“... და გადავიქეცი ძაღლად.

რაღა უნდა მექნა,—გამოვარდი გარეთ. ძაღლებმა მიუცხოვეს, დამედევნენ და ხან სად წამბუბნეს, და ხან სად. დაკაწრულ-დაგლეჯილი შევარდი ჩვენს მეთორნესთან და თორნის გვერდით მოვიძუძგე. შემიბრალა მეთორნემ, პურის ლუკმა გადმომიგდო. საღამოზე სახლში წამიყვანა. ამ მეთორნის დედა გულთმისანი იყო. დამინახა თუ არა, გაოცებულმა უთხრა თავის შვილს: „უი, დამიდგეს თვალები, ეს ძაღლი—ძაღლი კი არ არის, ჩვენი ვაჭრის შვილია, ძაღლად გადაქცეულიო. „აღარა ეშველებაო?“—ჰკითხა შვილმა. „როგორ არა, შვილო, მაგრამ სახიფათოა, ვაი თუ ვერ აიტანოს და მოკვდესო“.—„ძაღლად ყოფნას სიკვდილი სჯობიაო“,—უპასუხა შვილმა. მეც ყეფით ვუცხადებდი თანხმობას.

დედაბერმა შემოდგა ცეცხლზე საარაყე ქვაბი, და როდესაც ძალზე აქაფდა, აიღეს და თავზე გადამასხეს. გამძვრა ძაღლის ტყავი და ვიქეცი ისევ ადამიანად. ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; არ ვიცოდი, მადლობა რითი გადამეხადა. გამოვიცვალე ტანისამოსი, შევიმურე სახე, თმა ინით შევიღებე, წამოვიკიდე ზურგზე სავაჭრო და ჩემი საცოლოს სახლს აუარ-ჩაუარე. ამგვარად რამდენიმე დღე დავდიოდი.

ერთ დღეს, როდესაც ჩვეულებრივ გაუარე საცოლეს სახლს, აივნიდან გადმომდგარმა ჩემი საცოლეს მოსამსახურე გოგომ დამიძახა. ავედი და სავაჭრო გაუშალე. როდესაც ჩემმა საცოლემ ფართალს სინჯვა დაუწყო, მე ტახტის უკანიდან გამოვიღე სასწაულმოქმედი წკეპლა, გადაუჭირე და გადაუჭირე ჩემ საცოლეს და დაუმატე:—„ვირი ხარ, ვირად იქეცი“-მეთქი. ჩემი საცოლე გადაიქცა კოხტა ვირად.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და აი, ბატონებო, ეს ვირი უწინდელი ჩემი საცოლე გახლავთ; არა,—ვირო!? — შეეკითხა ვირს. ვირმაც ნიშნად თანხმობისა თავი დაუქნია და მოჰყვა ყროყინს.

ასე გაათავა თავისი ამბავი ვირზე მჯდომა კაცმა.

ახლა თქვენ გადასწყვიტეთ, თუ ვის ერგებოდა ოქროსტარიანი მათრახი.

ჭიაურელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამჭკნარი ვარდი

(ხაკო შარაშიძის ხსოვნას*)

ვაზავთხულზე დაუბნელდა სასიცოცხლო ცის ლაჟვარდი,
სუსხმა დაჭკრა... ჰ ჩამოწყდა მშობლიურ ტოტს ნორჩი ვარდი;
ძირს დაეცა, დაითურცლა, წარეკვეთა ეოფნა ტკბილი,
ჩანგი გატეხა, სიმი გაწყდა, ასაჟღერად აწეობილი.

მას გაფურჩქვნა ვით სწეუროდა! სიცოცხლის მზეს ვით ეტრფოდა,
თვის გარემოს ვით ამკობდა, ისე ნაზად იშლებოდა.
იგი იყო მშობელ ბუჩქზე სხვა ყვავილთა დამამშვენი,
თაიგულის შემამკობი, სურნელების ნაზად მფენი.

მაგრამ სუსხმა არ დაინდო, ნორჩი გული გაუყინა,
სასიკვდილო ცივი სუნთქვით სამუდამოთ დააძინა...
ის ჩამოწყდა მშობლიურ ტოტს, სასიცოცხლო ფრთებ-დამზრალი,
და მას შემდეგ სტირის ბუჩქი, ბროლის ცრემლებ-შეუმშრალი.

ი. სიხარულიძე

---

*) ხაკო შარაშიძე, ბათუმის გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე, გარდაიცვალა 1917 წლის, ნოემბერში. ფრიად ნიჭიერი და კეთილი ბავშვი იყო, ზნეობრივად ხვეტავი. მისი დაკარგვით მოშავალმა თაობამ ხუეთეოსი წევრი დაჭკარა.

ი. სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲐᲒ ᲢᲣᲐᲜᲔᲢᲐᲡ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲚᲘ

(შემდეგი *)

XXIV

სასიამოვნო შეხვედრა

რთხელ, როდესაც თავიდან ფეხებამდი ქურქში გამოწყობილი ქალბატონი ეინსვორტი სასეირნოდ წასვლისას დაბლა დარბაზში ჩავიდა, გაკვირვებით შენიშნა ანთებული ბუხრის წინ მჯდომი ფილიპე. ბავშვს სავარძელიზედ ბუხრის მოაჯირთან მიედგა და თვალდახუჭული და გულ-ხელ-დაკრეფილი იწვა. რაღაც საცოდაობა იხატებოდა ამ ბავშვის უმწეო მდგომარეობაში და გაფითრებულ, დაღლილ სახეზე. ქალბატონმა ენისვორტმა გაიფიქრა,—ბავშვს ალბად სძინავსო, მაგრამ გაიგონა თუ არა ფილიპემ ფეხის ხმა, მაშინვე ცოტა დარცხვენით წამოხტა.

— განა გცივა, ბუხარს ისე ახლოს რომ მისჯდომიხარ?— ალერსით ჰკითხა მან.

— თუმცა მცივა, მაგრამ ძლიერ კი არა,—უპასუხა ბავშვმა და სცადა მხიარული გაღიმება.

---

*) იხილე „ნაკადული“-ს მე-6 და მე-7 №№.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს სასეირნოდ არ წასულხართ?—ჰკითხა მან და ბავშვს გულდასმით შეხედა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ბავშვი გამხდარია.

— არა, ჯერ არ წავსულვარ. ჯერ გაკვეთილი არ ჩამიბარებია. შემდეგ კი წავალ.

— არ გირჩევნია ეტლით გავისეირნოთ? ჩაიცვი ქურქი და ერთად წავიდეთ.

მას შემდეგ, რაც ქალბატონი ვან ნარკომი წავიდა, ეს პირველი არ იყო ფილიპეს და ქალბატონ ეინსვორტის ერთად სეირნობა. რომ მარტო არ ყოფილიყო, ხან-და-ხან ბავშვი თან მიჰყავდა. ქალბატონ ვან ნორკომის აზრით მისთვის უფრო სასარგებლო იყო საზღვარ გარედ ცხოვრება და გადასწყვიტა პარიჟში დასახლება, სადაც ოჯახის ახალი წევრის შეძენის შემდეგ ჩქარა წაიყვანა ლიუსილი, ფინია, გამდელი და ელენე. ქალბატონი ეინსვორტიც გაჰყვებოდა, მაგრამ მას ახლა აქ პატარა შვილის-შვილი აკავებდა, რომელიც, რასაკვირველია, პატარა მემკვიდრეზე უფრო პატივსაცემი იყო.

ფილიპე უგულოდ წავიდა ქურქის ჩასაცმელად; მას მაინცადა-მაინც არ მოსწონდა ეს მორიდებული სეირნობა. ბალი ახლა ისე მხიარული აღარ იყო: ხეებს ფოთლები ჩამოეყარათ, ალაგ-ალაგ თოვლის ზვინები იდგა, ტბა გაიყინა, და მისი საყვარელი ჩიტები სამხრეთში გაფრენილიყვნენ, სადაც, რომ შესძლებოდა, ისიც სიამოვნებით გაჰყვებოდა.

პარკის ხეივანში გავლის დროს მისი ყურადღება ნაფლეთებში გამოწყობილი ზანგის ბავშვის ირგვლივ თავმოყრილმა ბავშვთა გროვამ მიიპყრო. ზანგის ბიჭი ფილიპესკენ ზურგმოქცეული იდგა, თვალებს იფშვნეტდა და ხმა-მაღლა სტიროდა. აშკარა იყო, რომ იქ ჩხუბი მოხდა და ჩხუბში პატარა ზანგი დამარცხდა. ფილიპემ ერთი კიდევ მიიხედა ბავშვებისკენ და ზეზე წამოვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ლილიბელია! თომა, გააჩერე ეტლი, ჩამოვალ. ეს ლილიბელია: ლაწირაკები სცემენ! გააჩერე, ჩქარა ჩამოვალ!

თომამ ეტლი გააჩერა. ფილიპეს Madame ეინსვორტისათვის არც კი უკითხავს, ისე გაჰქანდა ბავშვებისაკენ.

მოხუცი ქალბატონი გონზე ვერ მოსულიყო: მის განცვიფრებას და შეწუხებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დაინახა, რომ ფილიპე ქუჩის ბიჭებში შეიჭრა და მარჯვნივ თუ მარცხნივ უშნო ზანგის ბიჭის დასაცველად სილებს არიგებდა.

— გასწი, მალე!—უბრძანა მან მეეტლეს.

როცა ბავშვებმა დაინახეს, რომ ეტლიდან გადმომხტარი ლამაზი ბავშვი მათკენ მოეშურება, გაიფანტნენ ქუჩაში; მარტო ფილიპე, ლილიბელი და ცნობის მოყვარე მოხეტიალე ხალხი დარჩა.

პირველად ზანგმა ფილიპე ვერ იცნო, თუმცა ფილიპე დაჟინებით ეკითხებოდა:

— აქ საიდან გაჩნდი? როდის ჩამოდი? სელინაც აქ არის? ლილიბელი იფშვნეტდა თვალს და სლუკუნით ძლივს ამბობდა:

— თქვენა ხართ, ოსტატო ფილიპე? ველარ გიცანით! თქვენ ამ ქურქში ნამდვილ ბატონს ჰგევხართ! ყველგან გეძებდით. რა მშვენიერი წაღები გაქვთ!—ამ სიტყვებით ლილიბელმა აღტაცებით დაუწყო თავის მეგობარს თვალიერება და სიხარულისა და მღელვარებისაგან კიდევ უფრო აკანკალდა.

— როგორ მოხვედი აქ?—მოუთმენლად განუმეორა ფილიპემ.—მითხარი, აქ როგორ გაჩნდი?

— ერთი დიდი გემით მოვედი. დედა დამემუქრა—გაგწკეპლავო,—იმიტომ... იმიტომ რომ იმისი ფულები შემომეხარჯა. მე მხოლოდ ცირკში წავედი და ტკბილი პური ვიყიდე. დედა-კი გამიჯავრდა და მითხრა:—იმდენს გცემ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგინად ჩავარდეო... ამის შემდეგ მე გავიქეცი და ერთ გემზე დავიმალე და... მე ავად ვიყავი, კინალამ მოვკვდი!..

ეს რაგან გაჩნდა?..

ლილიბელმა ისევ სლუკუნი მორთო, როცა მოაგონდა გემით მოგზაურობა.

— ოჰ! რა ცუდი გიქნია, რომ გამოქცეულხარ,—სთქვა ფილიპემ.—ხომ შესწუხდება საბრალო სელინა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა ჩემი? მე დარწმუნებული ვარ—იმან კიდეც გაახარებდა ჩემი სიკვდილი. ის დარწმუნებულია, რომ მე მოვკვდი; მე ხომ მდინარის პირად ქუდი და ხალათი დავტოვე,—განგებ, რომ მას დამღრჩვალი ვგონებოდი.

— რა სისაძაგლეა! მე ძლიერ ვწუხვარ, რომ შენ აგეთი ავი ხარ!—წამოიძახა ფილიპემ.—როდის მოხდა ყველა ეს? დიდი ხანია? ყველაფერი დალაგებით სთქვი.

— კაი ხანია მას აქეთ. ერთ წელზე მეტია, რაც შენ აქ დაგეძებ.

— მერე როგორ ცხოვრობდი მთელი ამ ხნის განმავლობაში?

— მე აი იქ ვცხოვრობდი,—ლილიბელმა ქალაქის დასავლეთ ნაწილისაკენ გაიშვირა ხელი.—ერთ საშინლად ავგული სამიკიტნოს პატრონ ქალბატონთან. საშინლად მიმბეგვა, როდესაც მე იატაკზე ფული ვიპოვე და მას არ მივეცი... მე ვიპოვე—ფული ჩემი იყო; იმან კი მცემა და კიდევ პოლიციელს უძახოდა; მე გამოვექეცი, დავდიოდი და სულ შენ დაგეძებდი.

—ღმერთო ჩემო, რა გაჭირვება გამოგივლია!—ამოოხვრით სთქვა ფილიპემ.—მაგრამ ფული თუმცა მართალია შენ ნახე, მაინც შენი არ იყო.

— არა, ის ჩემი იყო, ოსტატო ფილიპე, ის მე ვიპოვე: კი არ მომიპარავს!

ფილიპე გრძნობდა, რომ უნაყოფო ცდაა—ლილიბელისთვის იმის ახსნა, თუ რაა მისი, და რა სხვისი. ის სიბრალულის თვალით უცქეროდა ბავშვის საცოდავ ტანისამოსის ნაფლეთებს და ამგვარადვე დაფლეთილ ფეხსაცმელებს.

— მაშ კარგი, წავიდეთ სახლში. ვსთხოვ დედას—სხვა ტანისამოსი მოგცეს. ნულარ სტირი: მე ვიზრუნებ შენთვის! წავიდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ სიტყვებით ფილიპემ იქვე ერთი ეტლი დაიქირავა, შიგ ლილიბელი ჩასვა, თვითონაც გვერდით მოუჯდა და მეეტლეს ბინა ასწავლა.

ერთი საათის შემდეგ გამოცოცხლებულ და მხიარულ ფილიპეს კარზე არც კი დაუკაკუნებია, ისე ქალბატონ ეინსვორტის ოთახში შევიდა.

— იცი, დედა!—მხიარულად წამოიძახა მან:—ლილიბელი ჩამოსულა.

— ვინ ლილიბელი!—განცვიფრებით იკითხა ქალბატონმა ეინსვორტმა. მას სულ დაჰვიწყებოდა სასაცილო ზანგის ბიჭი, რომელმაც ოდესღაც მასთან ფილიპეს ნივთები მოიტანა.

— როგორ არ გახსოვს, დედა, სელინას ლილიბელი,— სთქვა გულ-ნაწყენმა ფილიპემ.

— ჰო! მართლა, ახლა მოვიგონე: პატარა შავკანიანი ბავშვი ახალ ორლეანში?

— დიახ, დიახ, სწორედ ისაა! ის აქ არის, და ტანთსაცმელი არა აქვს: სულმთლად ნაფლეთებშია და ძალზე გაციებულია. მე ის ქუჩაში შემხვდა. შინიდან გამოპარულა და აქ გემით მოსულა. დადიოდა ქუჩა-ქუჩა და მე დამეძებდა. როცა ლაწირაკებმა ნახეს, რომ დამხმარე არავინა ჰყავს, დაეცნენ და სცემეს. სცემდნენ მაშინაც, როდესაც აშკარა იყო, რომ ის დამარცხებულია. ხომ საძაგლობაა, დედა, დამარცხებულის ცემა? მაგრამ როდესაც მე დამინახეს, ეს მხდლები სულ დაიფანტნენ. რომ არ გაქცეულიყვნენ, მე იმათ ვაჩვენებდი!

— ოჰ, ფილიპე, ნუ თუ შენ ქუჩის ბიჭებთან ჩხუბს ასტეხდი?—ზიზღით შეეკითხა ქალბატონი ეინსვორტი.

— რასაკვირველია, დედა, თუ დავინახავდი, რომ ისინი ვინმეს და მით უმეტეს ლილიბელს სცემენ. შეიძლება, დედა, ლილიბელს ჩემ ტანსაცმელებში რამე აურჩიო? მე ხომ ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს! ხომ შეიძლება სახლთხუცესს ვსთხოვო—გააძლოს ბავშვი? ხომ შეიძლება, დედა, ის აქ დარჩეს?

— აქ დარჩეს? არა, ფილიპე, ეს არ შეიძლება! სად უნდა მოვათავსოთ? და ალაგიც რომ იყოს, მაინც Madame ეინსვორტს ნებართვა უნდა ვსთხოვოთ.

— იმას ხომ შეუძლია თომასთან თავლაში იცხოვროს. მე რომ ვსთხოვო თომას, იმედი მაქვს უარს არ მეტყვის.

ქალბატონი ეინსვორტი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

— მე თვითონ არ ვიცი—რა გითხრა, ჩემო საყვარელო, სანამ მამა-შენს არ მოველაპარაკები. მიეცი ბავშვს შენი შავი ტანისამოსი, რომელსაც შარშან ზამთარში ატარებდი, და სთხოვე ბასეტს საჭმელი მისცეს. რაც შეეხება მის აქ დარჩენას, მაგაზე არაფრის თქმა არ შემიძლია. ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯეროობით შეიძლება თავლაში დარჩეს.

ფილიპე სიხარულით გაეშურა ტანისამოსის საძებრად და ჩქარა სუფთად ჩაცმული ლილიბელი წინანდებურად უშნო აღარ იყო. თომაც დასთანხმდა, ბავშვს თავლაში დავაყენებ, თუ კი Madame ეინსვორტი ნებას დართავსო.

საღამოს დიდი მხიარულება იყო თავლაში. ფილიპე ნასადილევს იქით გაეშურა, და ბასეტმა ნახა, როგორ მიჰქონდა ბავშვს ხელსაწმენდ—გადაფარებული კალათი. ლილიბელის მხიარულება უმწვერვალესამდე ავიდა, ფილიპე ხომ სრულ ბედნიერებას განიცდიდა.

XXV

ფიალა აივსო

Madame ეინსვორტს არც თანხმობა და არც უარი არ განუცხადებია ლილიბელის დარჩენის შესახებ: ის ამ საკითხს თავის ყურადღების ღირსადაც კი ერ სთვლიდა რამოდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს ყველაფერი კარგად მიდიოდა, და ფილიპეს მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ ასე კარგად მოაწყო თავისი მეგობრის საქმე. ერთი იყო მხოლოდ: მიუხედავად ბატონ და ქალბატონ ეინსვორტებისაგან გამოთქმულ სურვილისა, ფილიპე უმეტეს დროს თავლაში ატარებდა. პატარა ზანგს თითქოს ისეთი მიმზიდველი ძალა ჰქონდა, რომლის დაძლევა ფილიპეს არ შეეძლო. ის წამ-და-უწუმ გარბოდა თავლისაკენ, სადაც გაცხარებით ლაპარაკობდა თავის სახლსა, დედასა და სელინაზე.

საკუთარი შვილის სიყვარულით გატაცებული ქალბატონი ეინსვორტი ვერ ამჩნევდა, რომ ბავშვი უალერსოდ იჩაგრება და რომ სწავლაში მისი გულგრილობა და ხატვაზე გულის აყრა რაღაც გრძნობის მოდუნების შედეგია. ის ხედავდა, რომ ბავშვი გახდა და გაფითრდა, მაგრამ ამას ბავშვის ნაჩქარევად ტანის აყრას აწერდა და ფიქრობდა, რომ ეს ამ ხნის ბავშვებს ყოველთვის ასე ემართებათ. ერთის მხრივ ის მართალი იყო: მართლაც ალერსიანი სიყვარულით აღსავსე ცხოვრებიდან ბავშვი უალერსო, ერთფეროვან ცხოვრებაში გადავიდა; თბილ, მზიან სამხრეთიდან ცივსა და მკაცრ ჩრდილოეთში მოხვდა. უბრალო, ბუნებრივ ცხოვრებიდან, ქედ-მაღალ, დიდკაცური აზრებით გაჟღენთილ წრეში ფილიპე ხელოვნურ ნიადაგზე გადმორგული მინდვრის ყვავილი იყო. ამგვარმა ცვლილებამ ცუდად იმოქმედა მაზე: ის ვერ შეეგუა მისთვის უცხო, თუმც მდიდარ ნიადაგს.

ერთხელ ფილიპემ ლილიბელს ჰკითხა—სურს თუ არა მას სახლში დაბრუნება? პატარა ზანგმა ჩაიცინა და სთქვა:

— დიახ, ოსტატო ფილიპე, ძლიერ მინდა!—და თანაც გადაწყვეტით დასძინა:—მაგრამ იმ საშინელ გემში არაფრის გულისათვის აღარ ჩავჯდები: მე ისევ ფეხით წავალო.

— კი, მაგრამ ძლიერ შორი გზა რომ არის,—უპასუხა ფილიპემ.—ჩემი აზრით შენ იქ ერთ კვირაშიდაც ვერ მიხვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიპეს ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ლილიბელის მანძილის შესახებ.

— მე მშვენივრად დავიმალები საქონლის მატარებლის ვაგონებში, მაგრამ მარტო მეშინია. შეიძლება, ოსტატო ფილიპე, შენც გამოიპარო ჩემთან?

— გაპარვა ჩემთვის საჭირო არ არის. იქ წასვლა ძლიერ მინდა, მაგრამ გაპარვით კი არა. ჩემი დედ-მამა ჩქარა წამიყვანენ იქ; ისინი შენც წაგიყვანენ. როგორ გაუხარდება სელინას შენი ნახვა!

ლილიბელმა ჩაიცინა და თავი დააქნია, თუმც არ იყო სრულებით დარწმუნიბული, რომ დედა სიხარულით შეხვდებოდა.

ამ ლაპარაკის შემდეგ, დაახლოვებით იმ დროს, როდესაც ფილიპე დიდი ხნის სურვილის ასრულებას მოელოდა, ბატონი ეინსვორტი მოულოდნელად საჩქაროდ დასავლეთში გაიწვიეს. საქმე რკინის გზის შტოს შეეხებოდა და შესაძლებელი იყო, რომ არა მარტო Madame ეინსვორტის, პატარა მემკვიდრის ინტერესებიც დაზარალებულიყო. ამ რიგად ფილიპეს ოცნება სამშობლო მხარეების ნახვის შესახებ ისევ სხვა დროსთვის გადაიდო.

ამავე დროს ლილიბელი ქუჩაში წაღების მწმენდავ ერთ გაფუჭებულ ბავშვს დაუმეგობრდა. მან თომას თანხმობით ბავშვი თავლის რჩეულ საზოგადოებას გააცნო და თითქმის მთელ დღეს მასთან ატარებდა. ხშირად ორნივე რამოდენიმე დღით სადღაც იკარგებოდნენ. ამისთანა მგზავრობიდან ლილიბელი დაცვეთილ ტანისამოსით, ტალახიანი, მშიერი და ძლიერ შეწუხებული ბრუნდებოდა. ეს ძლიერ საზარალო იყო ფილიპეს ტანისამოსებისათვის და მოთმინების ფიალასაც ავსებდა. რაც ყველაზედ უარესი იყო—ყველა ამგვარ მგზავრობას მოსამსახურეების პატარ-პატარა ნივთების, ბასეტის კოვზის ან ჩანგალის, მზარეული ქალის წვრილი ფულის და ჭურჭლის მრეცხავების იაფი სამკაულების დაკარგვა მოჰყვებოდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელ-ნელი ლილიბელმა ისწავლა გზა ბასეტის ოთახში და ფილიპესთანაც; და როდესაც ერთხელ Madame ეინსვორტ-მა მოუსწრო, როცა ის მაგიდ-ზე მის ძვირფას სამკაულებს გულდასმით ათვალიერებდა, ლილიბელმა განაცხადა—თქვენ სახლში მეტს ვერ გავჩერდებიო. თავის ოთახში ბავშვი რომ ნახა, Madame ეინსვორტმა გადასწყვიტა: ამას წინად მისი ძვირფასი ბეჭედის დაკარგვაც ლილიბელის საქმე იყო; ბავშვი ქურდია და უნდა მის სახლს განშორდეს, სანამ პოლიციისათვის არ დაუძახნია.

ფილიპე უიმედობას მიეცა. მარტო იმის ფიქრი, რომ ბავშვი შეიძლება ციხეში წაიყვანონ, შიშის ზარსა სცემდა. მას ვერ წარმოედგინა, რომ ლილიბელი დამნაშავეა. გაცხარებით დარიგებას აძლევდა, ჩააცვა ახალი ტანისამოსი, მისცა ფულები და დაჟინებით ურჩევდა რამე ალაგზე დამდგარ-ყო და პატიოსნად ეშრომნა ლუკმა პურისათვის.

ლილიბელი ყოველთვის პირობას აძლევდა—გავსწორდებიო, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისევ ნაფლეთებში გახვეული და შეწუხებული თავლის წინ გაჩნდებოდა. ერთხელ ფილიპეს ჩუმად გამოუძახეს გარეგ. იგი მივიდა პატარა გაიძვერასთან, რომელიც სიცივისაგან კანკალებდა და სლუკუნებდა. მას არ ეცვა თბილი ხალათი და ფეხსაცმელები. ჰყრნავდა, და ბავშვის სიტიტვლემ ფილიპეს გული სიბრალულით აუვსო. სასოწარკვეთილება ეუფლა და არ იცოდა რა ექნა. იყო მხოლოდ ერთად ერთი გზა—ისევ თომასთვის უნდა ეთხოვნა დროებით თავლაში შეეფარებია, სანამ სხვა რამეს მოიგონებდა.

— კინალამ შიმშილით სული ამომძვრა,—ამბობდა ლილიბელი,—შეაფარა თუ არა თავი სტუმართ-მოყვარე თავლის კედლებს.

— რა უყავი, მე რომ ფულები მოგეცი?—უიმედოდ შეეკითხა ფილიპე:—რატომ არ იყიდე საჭმელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არ ვიყიდე, ოსტატო ფილიპე: ვიყიდე სარდინკა და ატამი.

— რატომ პური არ იყიდე?

— მე სარდინკა და ატამი უფრო მიყვარს!

რა პასუხი უნდა მიეცა ფილიპეს ამ შემთხვევაში? ხელახლა საჭირო იყო ბასეტთან მოლაპარაკება, და კეთილი მოხუცი შველოდა პატარა მეგობარს: დიდი სიფრთხილითა და ფარულად ლილიბელისათვის საჭმელს აძლევდა.

ფილიპეს მოუსვენარ მეგობრის ამბავი სახლში არავინ არ იცოდა და Madame ეინსვორტი დარწმუნებული იყო, რომ ბავშვი თავიდან მოიშორა. ერთხელ სეირნობიდან დაბრუნებისას თავის სახლის კიბეზე თავმოყრილი ხალხი დაინახა. პირველად ეგონა, რომ სახლში ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ ჩქარა შენიშნა, რომ ხალხის ყურადღება გარედ იყო მიქცეული. როდესაც თომამ ეტლი კიბესთან გააჩერა, Madame ეინსვორტი ხალხში გაერია და მის თვალს საშინელი სურათი წარმოუდგა: მაღლა კიბეზე სქელი ქალალდის კოლოფის თავზე ვაქსით ნაჯღაბნი აფიშა იყო მიკრული შემდეგის წარწერით:

„თეთრი თაგვები. ხუთი ცენტი წარმოდგენისათვის!*)“

აფიშასთან ფილიპეს საუკეთესო ხალათში გამოწყობილი ლილიბელი იდგა და ცოტა დაბლა, კიბეზე, გალიით ხელში წაღების მწმენდავი იჯდა და ხმა-მაღლა აქებდა მამა ჟოზეფის შვილების ნიჭსა და ცოდნას. პაწია ცხოველები წარმოუდგენელი სისწრაფით გალიის კუთხეებს ეხეთქებოდნენ.

ამ საშინელი სურათის დანახვაზე Madame ეინსვორტს კინალამ გული შეუწუხდა.

— თომა, გარეკე ხალხი და წაიყვანე ესენი! — იმან ლილიბელზე, „შვილებზე“ და აფიშაზე მიუთითა.

*) ორი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბედნიეროდ ფილიპე ამ დროს მასწავლებელთან მეცადინეობდა და წარმოდგენის შესახებ არაფერი არ იცოდა. ეს



„თეთრი თაგვები! ხუთი ცენტი წარმოდგენისთვის“.

იყო ლილიბელის და წაღების მწმენდავისაგან ფულის საშოვარად მოწყობილი სავაჭრო საქმე.

— როდესაც Madame ეინსვორტმა გაიგო, რომ ლილიბელი ისევ თავლაში ცხოვრობს და ეს ფილიპემაც იცის, მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

ფილიპეს ახლაც, როგორც ერთი წლის წინად, „შვილების“ დასაკავად გამოსვლა დასჭირდა, მაგრამ ამას ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა სასიამოვნო შედეგი მოჰყვა... ლილიბელი დაუყონებლივ უნდა განშორებოდა იქაურობას. რაც შეეხება „შვილებს“, ფილიპე კარგა ხანს სრულსა და სამწუხარო გაუგებრობაში იმყოფებოდა.

XXVI

„ღამე მშვიდობისა, უფალო სახლთუხუცესო“.

რამოდენიმე დღის შემდეგ Madame ეინსვორტი და ერთი მისი ძველი მეგობარი ქალი სასტუმრო ოთახში ისხდნენ და ძლიერ გულდასმით მუსაიფობდნენ. დიასახლისის ყოველთვის წყნარი ხმა ხანდახან ძლიერ მკვახედ გაისმოდა.

— ჩემთვის რომ ეკითხათ, ეს არას დროს არ მოხდებოდა,—აღშფოთებით ლაპარაკობდა ის.—მეტის მეტად აჩქარდნენ და ახლა თვითონაც ნანობენ.

— რასაკვირველია უნდათ, რომ უფროსობა იმათ საკუთარ შვილს ერგოს,—წყნარად უპასუხა მეგობარმა.

— რასაკვირველია იმათაც ეს უნდათ, მაგრამ თავი-დათავი ეს კი არ არის. იმათ ძლიერ აწუხებს, რომ ბავშვი, როგორც მოელოდნენ, ისეთი არ გამოვიდა. როდესაც წამოიზარდა, ძლიერ მოუხეშავი გახდა. ან კი სხვას რას უნდა მოელოდე ბებერი ზანგის აღზრდილ ბავშვისაგან? ამას წინად აქ ზანგის პატარა ქურდი ბიჭი მოიყვანა და სულითა და გულით მისი მეგობარია. ცოტა სიმწარე არ ვნახეთ, სანამ არ მოვიშორეთ თავიდან, მაგრამ ფილიპე ახლაც ნახულობს ალბად სადმე თავის მეგობარს. ლაურასა და ედუარდსაც ცოტა სიმწარე არ უნახავთ ამ მოუსვენარი ბავშვისაგან მეც ისე ვაჩვენებდი თავს, თითქოს მჯეროდა, რომ იმათ ბავშვი უყვართ; მაგრამ კარგად ვხედავდი, რომ ნამდვილად იმათ ის არასდროს არ ჰყვარებიათ; ახლა კი, საკუთარი შვილი რომ ეყოლათ, თვითონაც კარგად მიხვდნენ ამას. სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით არ შევწუხდები, ბავშვი რომ თავის მეგობრით იმისთანა ალაგას გაიპაროს, საიდანაც იმის ამბავსაც ვერ გავიგებთ. მათი ბავშვისათვისაც არაა კარგი, რომ ასეთი უფროსი ძმა ჰყავს. თქვენ კარგად იცით, პატარები დიდებს როგორ ჰბაძავენ ყველაფერში.

როდესაც Madame ეინსვორტმა და მისმა მეგობარმა სასტუმრო ოთახი დასტოვეს, ფარდის იქით ფანჯარასთან ფეხის ფრთხილი ხმა გაისმა და იქიდან ფილიპე გამოვიდა. ის მკვდარივით ფერ-მკრთალი იყო და თვალებში მწუხარება და განცვიფრება ეხატებოდა. როდესაც ოთახში ორი მეგობარი ქალი შემოვიდა, ის იქ იჯდა, ქუჩაში გამვლელ-გამოვლელთ ათვალიერებდა და უნებლიედ მთელი ლაპარაკი სიტყვა-სიტყვით მოისმინა.

ამის შემდეგ იმავე დღეს სადღაც საქველმოქმედო მიზნით სტუმრობიდან დაბრუნებულმა Madame ეინსვორტმა ერთი ქუჩის კუთხეში ფილიპე და ლილიბელი დაინახა. ისინი რაღაცას გულდასმით ლაპარაკობდნენ.

„მე კარგად ვიცოდი,—გაიფიქრა ბებერმა ქალბატონმა,—რომ ფილიპე ნახულობს სადმე ამ პატარა გაიძვერას. რაზედ უნდა ითათბირონ ახლა იმათ? მე, მართალი რომ ვსთქვა, ძლიერ მაშინებს იმათთან ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრება“.

როდესაც სადილის წინ ფილიპე სასტუმრო ოთახში შევიდა, ყველამ შენიშნა, რომ ის არაჩვეულებრივად აღელვებულია და ტანისამოსიც რიგზედ არ აცვია.

— ეს ბავშვი გვარცხვენს,—დაბალი ხმით შენიშნა თავის რძალს Madame ეინსვორტმა.—ის ამ ბოლო დროს ძალიან უშნოდ არის გამოწყობილი.

— ძლიერ ვწუხვარ,—უპასუხა გაწითლებულმა ქალბატონმა.—ეს ჩემი ბრალია. მე როგორღაც ყურს აღარ უგდებ ამ ბოლო დროს, და ბავშვი გარეგნულად მართლაც რომ გამოცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიპემ შენიშნა, როგორი მძულვარებით შეხედა მას Madame ეინსვორტმა და ყური მოჰკრა მის მკვახე სიტყვებს. ბავშვს ნერვები მეტის მეტად აშლილი ჰქონდა, სმენა არაბუნებრივად გაუმახვილდა, გულიც აუტანელად სტკიოდა. მან კიდევ უფრო ჩაჰყო წიგნში თავი უნებლიეთ მომდგარი ცრემლების დასაფარავად. როდესაც სუფრა გაშალეს, ის ყველაზე უკან შევიდა ოთახში და შეუმჩნევლად თავისი ალაგი დაიჭირა.

ბასეტი ცოტას-კი არ სწყენდა, რომ ბავშვი საჭმელს არ ეკარებოდა, და როდესაც სადილი გათავდა, მან თეფშით ნუშის ნამცხვრები და კამფეტები შკაფში შეინახა: „პატარას არაფერი არ უჭამია. ის ავადაა და აღელვებულია. ტკბილეულობით მაინც გავამხიარულებ,“—ბუზღუნით სთქვა მან. როდესაც ბასეტმა ვერცხლეულობა შკაფში შეინახა, მის ოთახში ფრთხილად ფილიპე შემოვიდა და კეთილ მოხუცს უსიტყვოდ თვალები მიაპყრო. რაღაცას თქმა სურდა, მაგრამ გული მეტის-მეტად უცემდა. როდესაც ბასეტმა კამფეტები გამოიღო და ფილიპეს გადასცა, ბავშვმა თავი ველარ შეიმაგრა, ტუჩები დაეღრიჯა და სახეზე მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა.

— რა ამბავია, ბატონო ფილიპე, რაშია საქმე? რა მოხდა?—წამოიძახა ბასეტმა, როცა დაინახა, რომ ყოველთვის მხიარული პატარა მეგობარი უზომოდ იტანჯებოდა.

— არაფერი... არაფერი, ბატონო სახლთუხუცესო; მაგრამ... მაგრამ თქვენ ისე კეთილად მექცევით იმ დროს, როდესაც არავინ არ მეფერება, რომ ეს თვალში ცრემლებსა მგვრის.

— მე ვხედავ ამას, ჩემო საბრალო ბავშვო! თქვენ არ შეგიძლიათ უეცრად შეეჩვიოთ ამ ახალ ცხოვრიბას. მე ვხედავ—თქვენ მადაც დაგეკარგათ, და ეს ხომ უკანასკნელი საქმეა. ტყუილად ნუ იტანჯებით: ყველაფერი ეს იმათი პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის ბრალია; ისინი იმდენს ზრუნავენ იმისათვის, რომ სხვა რამეზე ფიქრიც აღარ შეუძლიათ.

— არა, ეს ასე არ არის, ბატონო სახლთუხუცესო. აბა,— ბავშვმა მწარედ ამოიოხრა და ხელ-ახლად ცრემლები გადმოსკდა,—ახლა მე ისევ ჩემს ოთახში წავალ. ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა!—ის ცოტა შესდგა, კარი მოსწია, უეცრად ისევ უკან, ბასეტისაკენ, მიიხედა და თითქმის ვედრებით წარმოსთქვა:—მე მინდა... მე მინდა ხელი ჩაბოგართვათ, ბატონო სახლთუხუცესო!

— ოჰ, ღმერთმა დაგლოცოთ! დიდი სიამოვნებით, ჩემო ძვირფასო ბავშვო.—და ბასეტმა ისე მოუჭირა ბავშვს ხელი, რომ იმას ცრემლები ღიმილმა გაუშუქა.

— თქვენ... თქვენ არ დამივიწყებთ?

— თქვენი დავიწყება? რას ამბობთ? როგორ შემიძლია თქვენი დავიწყება, როდესაც ყოველ დღე გხედავთ!

— ხომ გამომესარჩლებით, როდესაც აქ არ ვიქნები, როდესაც წავალ აქიდან? თქვენ გამომესარჩლებით? თქვენ ხომ იტყვით, რომ მე არ ვყოფილვარ საძაგელი ლაწირაკი?

— რასაკვირველია, ბატონო ფილიპე, ყოველთვის დაგიცავთ, სანამ პირში სული მიდგია!

— დიდად გმადლობთ! ღამე მშვიდობისა! გმადლობთ ნამცხვრებისა და კამფეტებისათვის!—სიყვარულითა და მწუხარებით აღსავსე თვალებით კიდევ ერთი შეხედა ფილიპემ და გარედ გავარდა.

ფილიპე რომ წავიდა, ბასეტი დიდხანს გაუნძრევლად იდგა. მას დაავიწყდა, რომ ხელში კოვზები ეჭირა. ბოლოს ჩაილაპარაკა: რა საძაგლობაა ბავშვის ასე დავიწყება. ვინ იცის რა ხდება ეხლა მის გულში! ისეთნაირად შემომხედა, რომ ამ ხნის კაცი კინაღამ ამაბღავლა... ვეცდები ხვალ გავამხიარულო როგორმე.

შევიდა თუ არა თავის ოთახში ფილიპე, ერთი მიიხედ-მოიხედა, კარები გააღო და დააყურა. ყველანი დაბლა სართულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში სტუმრებთან იყვნენ, დრო-გამოშვებით სიცილი ან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი ისმოდა. სჩანს იქ ყველა ლაპარაკშია გართული და იმაზე არავინ ფიქრობს. ცოტა ხანს ღრმად ჩაფიქრდა, შემდეგ ტანისამოსის შკაფი გამოაღო და იქიდან „შვილების“ მოყვითალო აბრეშუმის ხელსახოცი გამოიღო. ამ ხელსახოცსა და ერთ შალში, რომელსაც ცივ დარში ყელზედ იხვევდა, მან მაგრად შეჰხვია გალია, შემდეგ აიღო პატარა ბოხჩა, რომელიც Madame ეინსვორტმა წიგნებისათვის მისცა და თაროდან გადმოიღო ქაღალდის კოლოფში შენახული ლეას ნაჩუქარი, სამგლოვიარო კრეპით შეკრული გვირგვინი. ყველა ეს გულდაგულ ქაღალდში შეახვია და ტომარაში ჩასდო. ბაგიდაზედ იდვა ტუანეტას ნაჩუქარი დაბადების წიგნი და ლოცვანი; ისინიც ტომარაში ჩასდო. ამის შემდეგ თავისი საფულე ყუთი გახსნა და ფული რამოდენიმეჯერ დათვალა. რომ ეგონა, იმაზე ნაკლები აღმოჩნდა. თუმც ლილიბელს ძალზე შეესუსტებია მისი თანხა, მაინც ეს ფული და ბასეტის მოცემული კამფეტების პარკიც სხვა თავის სიმდიდრეს შეუერთა. ტომარაში ამოარჩია ძველი ტანისამოსი, ძველი ფეხსაცმელი და ქუდი და ცოტა ქურქზე დაფიქრდა. ქურქი ისეთი თბილია; მაგრამ არა—ქურქი ძალიან ძვირად ჰღირს და არ უნდა წაიღოს. ქურქი თავის ალაგას დაჰკიდა, ჩამოიღო უბრალო მოკლე პალტო. თუმც ქურქსავით თბილი არ არის, მაგრამ ესეც სქელი და თბილია.

ტანთ ჩაიცვა თუ არა ფილიპემ, კარი გააღო და ერთი კიდევ დააყურა. ეზოში მიმავალ კიბეზე არავინ არ იყო. დარწმუნდა, რომ შეიძლება შეუმჩნეველად გასვლა; ერთ ხელში შვილები დაიჭირა, მეორეში—ბოხჩა;—ეს იყო მისი განძი, მთელი მისი სიმდიდრე. ფრთხილად, სულ-განაბული, ავაზაკსავით დაეშვა ძირს კიბეზე და შეუმჩნეველად ქუჩაში გავიდა.

დაღამდა. მარტის დამდეგი იყო და ცუდი, თოვლ-ჟყაპიანი, ცივი დარი იდგა. ფილიპე სიცივისაგან კანკალებდა და ახველებდა. ერთ წუთს შეჩერდა ბოლოს ერთი ნაღვლია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად კიდევ გადახედა მდიდრულ სასახლეს და თავის ერთგულ თანამგზავრ მამა ჟოზეფის „შვილებიანად“ ბნელში მიიმალა.

XXVII

დაცლილი ოთახი

ფილიპეს გაპარვის შემდეგ მეორე დილას Madame ეინსვორტი და მისი რძალი საუზმეს მიირთმევდნენ. ორივე მოწყენილნი იყვნენ. საუზმე თითქმის გაეთავებიათ. ქალბატონმა ეინსვორტმა ფილიპეს ცარიელ სკამს გადახედა და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ბავშვი იქ არ იყო.

— სად არის ფილიპე?—იკითხა მან.—ის ყოველთვის თავის დროზე მოდიოდა. ავად ხომ არ არის?

— თუ მიბრძანებთ,—შენიშნა ბასეტმა აკანკალებული ხმით,—ახლავე შევიტყობ.

— ჰო, ნახეთ!—ცივად უბრძანა Madame ეინსვორტმა.—უთხარით, რომ ახლავე აქ მოვიდეს, რომ ჩვენ საუზმე კიდეც გავათავეთ.

— ის არას დროს არ იგვიანებდა,—ესარჩლებოდა ფილიპეს ქალბატონი ეინსვორტი,—ყოველთვის ჩვენზე წინ ჩამოდიოდა დაბლა. ეს რამოდენიმე დღეა ახველებს: შეიძლება ავათ არის! უსათუოდ ექიმს უნდა მოველაპარაკო. უნდა გამოვტყდე, რომ ამ ბოლო დროს ყურადღებას აღარ ვაქცევ.

— შეიძლება გაცივდა,—გულგრილად დაეთანხმა Madame ეინსვორტი.—მე მისი ჯანმრთელობა კი არ მაწუხებს...

— მაშ რა? ჩაიდინა კიდევ რამე?—ჰკითხა შეწუხებულმა ქალბატონმა ეინსვორტმა.—იმედი მაქვს, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენია.

სანამ დედამთილი პასუხს მისცემდა, ოთახში აქლოშინებული ბასეტი შემოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოთახი ცარიელია,—სთქვა მან.—ბატონი ფილიპე გაჰქრა?

მოხუცი გაფითრებული იყო და კანკალებდა. მისმა უცნაურმა საქციელმა ქალბატონი ეინსვორტი შეაშფოთა.

— გაჰქრა!—წამოიძახა მან და ადგილიდან წამოხტა.— ამით რა გინდათ სთქვათ? როგორ გ ჰქრა?

— არ ვიცი, სად წავიდა საბრალო ბავშვი!—უპასუხა ხმა-დაკარგულმა ბასეტმა.— ვიცი მხოლოდ, რომ ოთახი ცარიელია და რომ ღამე მას თავის ლოგინში არ სძინებია. ის ნამდვილად წუხელის წასულა.

— როგორ! მთელი ღამე შინ არ ყოფილა? წავიდა მარტოდ-მარტო, ამისთანა ცივსა და ბნელ ღამეში? ვინ იცის— რა შეემთხვეოდა,—კვნესით წარმოსთქვა გაფითრებულმა და აკანკალებულმა ქალბატონმა ეინსვორტმა.

— მე მგონია, რომ ბატონი ფილიპე სამუდამოდ წავიდა აქედან, რადგანაც თავისი პატარა თაგვები გალიით თან წაუღია.

— გაიქცა? მეც სწორედ მაგას მოველოდი მისგან!— წამოიძახა Madame ეინსვორტმა.—ის ისე აღელვებული იყო, რომ იქვე მდგომი ბასეტი დაავიწყდა.

— გეეედრებით—ნუ ამტყუნებთ, სანამ შევიტყობდეთ საქმე რაშია,—იცავდა ფილიპეს ქალბატონი ეინსვორტი.— არ დავიჯერებ, რომ ის თავის ნებით წასულიყოს: ისე უყვარდით და ისე კმაყოფილი და ბედნიერი იყო.

— მომიტევეთ, ქალბატონო,—მტკიცე ხმით გააწყვეტინა ბასეტმა:—ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ბატონი ფილიპე ამ უკანასკნელ დრო არ იყო ბედნიერი. მე არ ვიცი, მის პატარა გულში რა ხდებოდა, მაგრამ ახლა, როდესაც უფრო უკვირდები, მგონია, რომ მას რაღაც არა-სასიამოვნო ამბავი შეემთხვა. წუხელის ის ჩემს ოთახში შემოვიდა და მთხოვა,—გამომესარჩლე. როდესაც აქ აღარ ვიქნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ თქვენ ეს იცოდით,—მკვახედ გააწყვეტინა Madame ეინსვორტმა,—და არაფერი სთქვით?

— არა, მე არაფერიც არ ვიცოდი, ქალბატონო, მე მეგონა, რომ ბავშვი ავად იყო და აბოდებდა. ვცდილობდი, როგორც შემეძლო, მის დამშვიდებას. შემდეგ გამომემშვიდობა და ატირდა.

— შეიძლება კიდევ სთქვა რამე? შეიძლება სთქვა, სად აპირებდა წასვლას?—ეკითხებოდა შეწუხებული ქალბატონი ეინსვორტი.

— ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ქალბატონო; რომ წასვლას აპირებს.

—ოჰ, რა დამნაშავე ვარ! ეს ჩემი ბრალია!—თავგანწირულებით წამოიძახა ქალბატონმა ეინსვორტმა.—რაც ჩემი პაწია გაიჩინდა, სულ მივატოვე საბრალო ბავშვი. თუმცა ეს არ მინდოდა, მაგრამ ასე კი მოხდა: მე ხელი ვკარ იმას. რა ვქნა, როგორ ვიპოვო ახლა?—ქალბატონმა ეინსვორტმა ვედრებით დედამთილს შეხედა.

— ნუ სულელობთ, ლაურა! ამისთანა ბავშვისათვის ამდენი თავის შეწუხება არ ღირს,—ცივად ჩაილაპარაკა Madame ეინსვორტმა. უმადურ ბავშვს თქვენი გულკეთილობა მოსწყინდა და თავის ძველ ცხოვრებას დაუბრუნდა. ერთი სიტყვით—ის გაიპარა გუშინ ისევ იმ ზანგის ბიჭთან ვნახე. ალბად გაპარვაზე თათბირობდნენ, და, თუ გაიხსენებ, საღამოსაც სინიდისი არ ჰქონდა წმინდა. ადამიანს თვალს ვერ უსწორებდა.

— მახსოვს, აღელვებული იყო, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დამნაშავეს სახე ჰქონდა. არ მესმის, ვერც-კი წარმომიდგენია ჩემთვის ერთი სიტყვის უთქმელად მისი წასვლა. ოჰ! ნეტავი ედუარდი აქ იყოს! არ ვიცი —რა ვქნა, საით ვეძებო!—სასოწარკვეთილებით ამბობდა ქალბატონი ეინსვორტი.

— თქვენ არ შეგინიშნავთ, ბასეტ, ბავშვს ყველა თავისი ნივთები წაუღია?—ეკითხებოდა Madame ეინსვორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემიძლია მოგახსენოთ, ქალბატონო, რომ რაც ეცვა, იმის ამარა წავიდა. მე შევიხედე მის ტანისამოსების შკაფში: ის გატენილია; მისი ქურქიც იქ არის.

— შეგიძლიათ არხეინად იყოთ: იგი დაბრუნდება. ის ალბად თავის მშიერ მეგობრებში დაეხეტება, და როცა მოშივდება და მოიქანცება, შინ დაბრუნდება.

— არა, რამე უნდა ვიღონო,—იმეორებდა ქალბატონი ეინსვორტი.—ამას ასე ვერ დავტოვებ და ვერ უცდი, სანამ ის თავის თავად დაბრუნდება.

მე ეჭვი მაქვს, გულგრილად განაგრძობდა Madame ეინსვორტი,—რომ წაღების მწმენდავმა და იმ ზანგის ბიჭმა შეაგულიანეს თაგვების წარმოდგენა გაემართა. ალბად რა და რა სისულელე არ უთხრეს. ყოველ შემთხვევაში გირჩევნიათ რამდენიმე დღე მოითმინოთ. ახმაურება და მეზობლების აყაყანება არ ღირს; სისულელეც იქნებოდა აჩქარება, რაკი ნამდვილად ვიცით, რომ ის, როგორც ზანგის ბიჭს სჩვევია, ჩქარა მშიერი და ტალახში მოსვრილი დაბრუნდება.

— ნეტავი მართლაც აგრე იქნებოდეს. რას არ მივსცემდი, რომ უვნებლად და ჯანმრთელად ვნახავდე,—ამბობდა შეწუხებული ქალბატონი ეინსვორტი.

ბასეტი, საშინლად დაღვრემილი, ალაგებდა მაგიდას. გაახსენდა ბავშვის გუშინდელი ქცევა და მიხვდა, რომ იგი მას სამუდამოდ გამოეთხოვა. საყვარელი ბავშვი, ისეთი უბედური იყო, რომ მეტი ვეღარ აიტანა,—ფიქრობდა ბასეტი. მან წაიღო გალია პატარა მხეცებით და ღამე მარტოდ-მარტო წავიდა. რა მოელის სუსტ ბავშვს ცხოვრებაში?

გავიდა რამდენიმე დღე. ფილიპე არ დაბრუნდა და არც არაფერი ისმოდა მისი. გამოჰკითხეს წაღების მწმენდავს ლილიბელის ამბავი, მაგრამ იმან არაფერი არ იცოდა. პატარა ზანგის ბიჭიც გაჰქრა. იქვი არ იყო—ფილიპე და ის ერთად წავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოთახის გულდასმით დათვალიერების შემდეგ ქალბატონი ეინსვორტი დარწმუნდა, რომ ფილიპე დაბრუნებას აღარ აპირებდა. ოთახში აღარ იყო სამგლოვიარო გვირგვინი, დაბადებისა და ლოცვანი. ცხადი იყო, რომ მან წაიღო თავისი საყვარელი ნივთები და სამუდამოდ წავიდა... მიუხედავად Madame ეინსვორტის რჩევისა, მან გადასწყვიტა ეს საქმე ასე არ დაეტოვებია. რაკი რამოდენიმე დღის შემდეგაც ვერაფერი გაიგეს, მან ქმარს წერილი მისწერა და რჩევას სთხოვდა. იმავ დროს მაძებარი პოლიციის მოხელე მოიწვია ბავშვის მოსაძებნად. სინდისი ჰქენჯნიდა და ამხილებდა. როცა გაახსენდებოდა, როგორ უყურადღებოდ იყო საბრალო ბავშვი მიტოვებული.

„ეს ჩემი ბრალია!“ —ფიქრობდა ბასეტი.—„ის ისეთი კარგი ბავშვი იყო, ისეთი აზრიანი, ისეთი კეთილშობილი, რომ მისი დაყენება კეთილ გზაზე არ გამიძნელდებოდა“.

„ის ბედნიერი და კმაყოფილი იქნებოდა, მე რომ არ მიმეტოვებინა, ჩემ ვალდებულობაზე ხელი რომ არ ამეღო. თუ რამე შეემთხვა, თუ დაიღუპა, მარტო მე ვიქნები პასუხის მგებელი“.

XXVIII

მამა ჟოზეფი წერილებს გზავნის

ახალი მექსიკის მთა-გორიან ადგილებში მძიმე და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მამა ჟოზეფი პატარა სან მიგუელის მისიაში დაბრუნდა. იქ წმ. მარიამის ეკკლესიის ღვდლის მამა მარტინის მიერ რამდენიმე თვის წინად გამოგზავნილი წერილი დახვდა. მამა მარტინი ატყობინებდა, რომ ტუანეტა გარდაიცვალა და ფილიპე სამხრეთიდან მოსულმა მხატვარმა და იმისმა ცოლმა იშვილესო. წერილის წაკითხვისთანავე მამა ჟოზეფმა წერილი გაუგზავნა მამა მარტინს: სთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვდა საჩქაროდ გამოეგზავნა მიბარებული ქაღალდები საბან ქაღალდები მოვიდოდა, მამა ჟოზეფს სხვა უფრო ხანგრძლივი და უფრო პასუხსაგები საქმე მიანდვეს და თავის მისიაში ის მხოლოდ შემდეგ ზამთარში დაბრუნდა. წერილი ქაღალდებით დიდი ხანია უცდიდა მას.

ერთ საღამოს დაღლილ-დაქანცულმა მამა ჟოზეფმა დიდი წერილი გახსნა. ზედ ძლივს გასაგები ხელით იყო მისამართი წარწერილი. კონვერტიდან რამოდენიმე ქაღალდი და წერილი გამოვარდა. პირველი წერილი ტუანეტას ხელმოწერილი იყო, და მამა ჟოზეფი იმის კითხვას შეუდგა:

„ძვირფასო მამაო ჟოზეფ, ექიმმა სთქვა, რომ მე გულის ფრიალი მაქვს და შესაძლებელია უეცრად ჩემი სიკვდილი; აი რისთვის გწერთ ამ წერილს და გიგზავნით შესანახად ამ ქაღალდებს, რომელიც თქვენ ჩემი სიკვდილის შემდეგ უნდა გახსნათ. მე მინდა, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოირკვეს უველაფერი ჩემი ბავშვის შესახებ. ამ წერილიდან უველაფერს შეიტყობთ.

„თქვენ იტყვით, რომ მე დიდი ხანია უნდა მეთქვა თქვენთვის უველაფერი,—მაგრამ არ შემეძლო. არ შემეძლო ჩემი ბავშვის მოტოლება, თუმცა ვიცი, რომ ჩემი ვალი იყო უველაფერი თქვენთვის გამემხილა.

„უნდა თავიდან დავიწყო და უველაფერი გარკვევით გითხრათ. მე გავიზარდე დეტრავას ოჯახში. უეკვარდი იმათ და ძალიან პატივს მცემდნენ. მასწავლეს ინგლისურად და ფრანგულად ლაპარაკი წერა-კითხვა, ქარგვა და ხეებისა და უვავილების მოვლა-მოშენება. როდესაც ჩემი ქალბატონი ესტელლა დაიბადა, ოცდა ათის წლისა ვიუავი. ბავშვი მე ჩამაბარეს. ის იმ დღიდან ჩემი იყო და მე მას ვეკუთვნოდი. სოცრად ლამაზი და შესანიშნავი გულის ქალი გაიზარდა. მე უველიდი და მთელ ქვეუანას მერჩია. როდესაც ომი დაიწყო და მისი მშობლები დაიდუპნენ, ის კიდევ უფრო შემეთვისა. მძიმე იყო იმ დროს ცხოვრება: უველა თავისთვის ზრუნავდა და ვის ეცალა უველასგან მიტოვებულ ობლისათვის. მე ვეხვეოდი მას და გულს უმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრებდი, როდესაც ის უიმედობას ეძლეოდა. ის იყო ჩემი სული და გული, და მეც უვლიდი მას, როგორც თვალის ჩინს.

„ჩვენი ბლანტაციის ახლოს მოკავშირეთა ბანაკი იყო. რაზმის ახალგაზდა კაპიტანი ძლიერ კარგად გვეპყრობოდა. მას ებრალებოდა ჩემი პატარა ქალბატონი და შეძლებისდაგვარად სცდილობდა, რომ ჩვენ უზრუნველი ცხოვრება გვქონოდა. ის ისეთი კეთილი და საყვარელი ადამიანი იყო, რომ ჩვენ შევიყვარეთ და უველაფერში ვენდობოდით. თქვენ გეცოდინებათ, როგორი სულიერი განწყობილება იყო მაშინ და როგორ საიდუმლოდ უნდა დაცულიყო უველაფერი. კარგად ვხედავდი, რაც ხდებოდა ახალგაზდების შორის, მაგრამ არ ვიცოდი, როგორი ბოლო ექნებოდა ამას ჩემი ბავშვისთვის. და აი ერთ საღამოს იმათ თვრულად ჯვარი დაიწერეს ახალ-მოსულ ფრანგის მდვდელთან. ის ჩვენ მრევლში გამოეგზავნათ ჩვენი დედის მაგივრათ, რომელიც მოკავშირეთა რაზმებს გაჰყვა. მამაო ჟოზეფ, დედელი, რომელმაც ახალგაზრდების გვირგვინი შეუცვალა, თქვენ იცავით.“

მამა ჟოზეფმა წერილის კითხვას თვალები მოაშორა და ჩაფიქრდა.

— ჰო,—სთქვა მან ბოლოს,—ახლა მაგონდება. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მე ივანე ნათლისმცემლის მრევლში ვიყავი დანიშნული. მე პატარა ეკლესიაში ვიყავი ღამე, როდესაც ჩემთან ვილაც ახალგაზრდები მოვიდნენ მთხოვეს ჯვარი დამეწერა, და მეც უარი ვერ უთხარი: არეულობა იყო და საკვირველი საქმენი ხდებოდა მაშინ. ახლაც მაგონდება: გაფითრებული ახალგაზრდა ქალი და ახალგაზრდა მოკავშირე ჯარის აფიცერი... თუმც მეუცნაურა ეს ჯვრის წერა, მე მაინც გვირგვინი უკურთხე. აი ეს მოწმობაც, რომელიც მე მაშინ იმათ მივეცი!.. ამ ფიქრებში იმან ქაღალდი გაშალა და ზედ თავის ხელწერილს დახედა. შემდეგ ისევ ტუანეტას წერილის კითხვას შეუდგა.

„ახლა, როდესაც უველა ეს გიამბეთ, შეიძლება გაგახსენდეთ, რა მოხდა შემდეგ. ერთი წლის შემდეგ თქვენ მოსათლეთ იმათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი ბავშვი და როდესაც ბავშვი სულ ორი თვის იყო, მაგ მისი ერთ შეტაკებაში მოჰკლეს და ჩემმა ქალბატონმა, ბავშვითა და გადაით, ქალაქში თავის სახლს მიაშურა, რომელიც, როგორც გემახსოვრებათ, იმავე დამეს დაიწვა. ეგონათ, რომ სამნივე ტეტხლში დაიღუბნენ, მაგრამ დაიღუბა მარტო ახალგაზდა დედა. ბავშვი და გადაა კი გადარჩნენ. მე ვიუავი ის გადაა და ფილიპე—ის ბავშვი. ტეტხლის გაჩენის დროს ბავშვს ჩემ მუხლებზედ ეძინა. მე წავიუვანე ის უშიშარ ადგილს და დავბრუნდი ჩემი ძვირფასი ქალბატონის საშველად, მაგრამ გვიანი იყო... მე ის ვედარ ვნახე... გავიგე თუ არა, რომ გამდელი და ბავშვი ტეტხლში დაღუბულნი ჰგონიათ, დავავლე ბავშვს ხელი და შეუმჩნევლათ ქალაქის განაპირას ერთ ჩემ მეგობარს მივაშურე. მეგობარმა მიგვიდო და ჩვენი საიდუმლო არავისთვის გაუმხელია. მსაპინძლის სიკვდილის შემდეგ ისევ დეტრავას სახლში დავბრუნდი, მინდოდა ბავშვი თავის საკუთარ სახლში აღზრდილიყო; თუმცა მან არ იცოდა, რომ ეს მისი ქონებაა, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ როდისმე ის მისი იქნება.

ხომ გახსოვთ, როგორ მკაცრად და დაწვრილებით გამოკითხეთ ბავშვის შობლების ამბავი, როდესაც მე ფილიპე თქვენთან პირველად მოვიუვანე? თქვენ მე ვერ მიცანით. ფიქრადაც არ მოგსვლიათ, რომ ის ესტელლა დეტრავას და მოკავშირე ჯარების ახალგაზდა ათიტრის შვილია.

„თქვენ გიკვირთ—ამდენ ხანს რატომ ვფარავდი სიმართლეს? მე აგიხსნით. ბავშვი მიუვარდა; ის იმ ოჯახის უკანასკნელი ჩამომავალი იყო, და მე მეგონა, რომ ის ჩემია და რომ მისი დაკარგვა მე ბოლოს მომიღებს; მაგრამ თავი და თავი მიზეზი ის იყო, რომ მე შევფიცე ჩემს ქალბატონს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ბავშვს არ მოვშორდები. გასაკვირი არ არის, რომ მას არ უნდოდა ბავშვი სამხრეთში აღზრდილიყო. კარგად იცოდა. რომ ქმარს თავისიანებისათვის არ შეუტეობანებია ცოლის შერთვის ამბავი, რადგანაც სამხრეთ და ჩრდილოეთ ქვეყნებს შორის შეურიგებელი მტრობა იყო ჩამოვარდნილი. ჩემი ქალბატონი კი ამისთანაობაში ამბარტავანი და მიუკარებელი იყო და არა-ერთხელ ჩამოურთმევია ჩემთვის პირობა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი და მისი ქმრის სიკვდილის შემდეგ დავმალავ ბავშვს, ვნახავ, როგორ
მოიზრდება და თავისი ბატრონობა თვითონ შეეძლება. საიდუმლო
კიდევ იმიტომ ვერ გავამხილე, რომ ბავშვი მამის ნათესავებს შეეძ-
ლოთ თავისთან სამხრეთში წაეყვანათ და მე დამშორებდნენ. ისინი
ბავშვს ვერ იცნობდნენ და შეიძლება არც კი შეჰყვარებოდათ. ჩემ-
თვის კი ის ცხოვრების ერთად ერთი საუნჯე იყო. არა, მე არ შემეძ-
ლო მისი დათმობა! მე მეგონა, რომ ამას მხოლოდ მაშინ შევსძლებდი,
როცა იგი წამოიზრდებოდა. მაგრამ წლები მიდიოდნენ, და ვერ
დავსთმე, და ვერც დავსთმობ, სული სანამ ბირში მიდგია...

„უნდა გავათავო. წერა მეტის მეტად მეძნელება. კალამს ძლივს
ვერევი. მთელ დღეებს ვანდომებ და დამეებს ვათენებ ამ ადსარებაზე:
მინდა ყველათვერი ნათელყოო...

„როდესაც ცეცხლის შემდეგ მითქმა-მოთქმა მინელდა, მე დავ-
ბრუნდი თვრულად ბლანტაციაზე და მოვსძებნე ჩემი ქალბატონის
ქალალდები, რომლებიც საბედნიეროდ გაქცევის დროს სიჩქარეში იქ
დაჰვიწყებოდა, თორემ ისიც ცეცხლში დაიდუბებოდა. ყველა ქალალ-
დები ამ კონვერტშია:—თქვენი მოცემული ჯვრისწერის მოწმობა და
ჩემ ქალბატონთან ახალგაზრდა ათიტრის მიერ მოწერილი წერილე-
ბიც. თქვენ ნახავთ აგრეთვე გაუხსნელ წერილს, ახალგაზდა კაცი-
საგან თავის დედასთან მინაწერს. ეს წერილი მან ჩემ ქალბატონს
მისცა შემდეგი ბირობით: თუ მას რამე შეემთხვეოდა, წერილი დე-
დისათვის უნდა გაეგზავნა. ჩემის აზრით ამ წერილით ის ატეობი-
ნებს დედას თავის ჯვრის წერას და სთხოვს იზრუნოს მისი ცოლისა
და შვილისათვის... მაგრამ ჩემს ანგელოზს ადარ სჭირდება არავი-
თარი ზრუნვა: ის წავიდა იქ, სადაც რამოდენიმე დღით წინ მისი სა-
ყვარელი ქმარი წავიდა. დარჩა მხოლოდ ბავშვი, რომელიც ჩემი სი-
კვდილის შემდეგ მამა მისის მშობლებს უნდა გადაეცეს. შეიძლება არ
იყოს კარგი ახლა მისი აქ გაჩერება, მაგრამ ის ჯერ კიდევ ბატარაა
და ძალიან შემეჩვია. მე მისთვის თავს არ ვზოგავდი: ვასწავლიდი
მხოლოდ სიკეთეს. ვერავინ ცუდს ვერ იტყვის ჩემ ფილიბეზე.
მე ვგრძნობ, მამაო ყოზეფ, რომ ამ წერილის კითხვის დროს ის
მარტოდ-მარტო დარჩება ამ წუთისოფელში. მისი დედილო, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიც ისე უყვარდა და ისე უგონებდა ყველაფერს, მალე მოშორდება ამ ქვეყანას. შეიყვარებთ თქვენ იმას, ანუგეშებთ და იზრუნებთ მისთვის? ის ისე უბედური იქნება უჩემოდ! ეს ქადალდები და წერილები, რასაკვირველია, მის ბებიას უნდა გაუგზავნოთ. არა მგონია მან ისე შეიყვარონ ჩემი ფილიპე, როგორც მე მიყვარდა. გეყოფრებით, მამაო ჟოზეფ, იზრუნეთ მისთვის! მე იმას თქვენ განდობთ.—თუ მე ცუდათ მოვიქეცი, მომიტევეთ, რომ დავმალე იგი, და დმერთს შემავედრეთ!"

ტუანეტა

წერილის წაკითხვის შემდეგ მამა ჟოზეფმა მოიწმინდა თავის გამხდარ სახეზედ უნებლიედ ჩამოგორებული ცრემლი და ხელახლა კითხვას შეუდგა: გულდასმით გადაათვალიერა ყველა ქადალდები, დასწერა თავის მხრივაც რამოდენიმე სიტყვა წერილის ასახსნელად და ახალ კონვერტში ჩასდო, რომელზედაც Madame ეინსვორტის მისამართი დააწერა.

XXIX

პატარა მგზავრები

როდესაც ფილიპე ამ მარტის ცივ დილას შვილებით და თავისი ძვირფასი ბოხჩით ქუჩაში გაჩნდა, მისი პირველი საზრუნავი იყო აქაურობას გასცლოდა და მეორე—ახალ ორლეანში მისულიყო. პირველი არ იყო ძნელი, მეორე კი დიდ მოფიქრებას ითხოვდა, რადგანაც ყველა გზა ახალ ორლეანში როდი მიდის.

ლილიბელი პატარა ბოხჩით იქვე გზის ყურეში უცდიდა და სიცივისა და მღელვარებისაგან კანკალებდა. ფილიპემ მისცა ფული საგზლის სასყიდლად, რაიცა შესდგებოდა ცოტაოდენ ბანანებისა, ნამცხვრებისა, შემწვარ მარცვლებისა და თაფლისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ მზადა ხარ?—ჰკითხა ფილიპემ, როდესაც ლილიბელმა საგზალი მოიტანა.

— დიახ, ოსტატო ფილიპე, მზათა ვარ: ყველაფერი ვიყიდე; მაგრამ წავალთ აქედან, თუ მთელი ღამე ამ თავსხმა წვიმაში ვიქნებით?

— რასაკვირველია წავალთ,—უპასუხა ფილიპემ.—ჩვენ უნდა ვიაროთ, რომ გავთბეთ. ახლა კი ფონისაკენ წავიდეთ.

ამ სიტყვებით ის მდინარისაკენ გაეშურა; მას სიცივისაგან აცრემლებული ლილიბელი გაჰყვა.

ფილიპემ კარგად იცოდა, რომ ამ მგზავრობაში ბელადობა მას ეკუთვნოდა და რომ პასუხისმგებელიც სავსებით თვითონ არის. ის ვარაუდობდა, როგორ მოქცეულიყო შემდეგში. პირველად საჭირო იყო ქალაქიდან რაც შეიძლება ჩქარა გასვლა.

— პოლიციელი გზაში დაგვიჭერს,—ამბობდა ქვითინით ლილიბელი. — დაჭერილებს გამოგვაგზავნიან ისევ უკან, როგორც მაწანწალებს ჩაგვსვამენ ციხეში და არას დროს აღარ გაგვანთავისუფლებენ!

ეს აზრი ფილიპესაც მოსვენებას არ აძლევდა, თუმც არ იცოდა—რა მოელით იმათ გზაში, მაგრამ სახლში დაბრუნება კი არაფრის გულისათვის არ სურდა; ამიტომ ჩქარა გაეშურა ფონისაკენ. მას არც სციოდა და არც დასველებულა. სქელი პალტო იფარავდა წვიმისაგან და გულს იმედი უთბობდა. როდესაც ნავთსადგურში მივიდნენ და ლილიბელმა წყლის ტალღებში მოქანავე გემი დაინახა, შეშინებული უკან გადახტა:

— არაფრის გულისთვის აღარ ვივლი გემით: მე ფეხით წავალ.

— ჰო, მაგრამ ჯერ მდინარეზე უნდა გადავიდეთ. ჩქარა ჩავჯდეთ, თორემ გემი მიდის. შენ თუ არ წამოხვალ, მე მარტო წავალ,—დაემუქრა ფილიპე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ წავალ,—ქვითინებდა ლილიბელი, მაშინაც კი, როცა ფილიპემ ბილეთები იყიდა და ხელის კვრით ძლივს აიყვანა ლილიბელი გემზე და შეუმჩნევლად ხალხში გაერია.

გალმა რომ გავიდნენ, ფილიპემ ნაბიჯს უკლო. მგზავრობის შესახებ თავში სერიოზული აზრები დაებადა, რაც მის წლოვანებას არ შეეფერებოდა. კარგად ესმოდა, რომ არ შეიძლება ხალხში ისეთი შეკითხვა, რომლითაც შეუძლიათ მის კვალს მიაგნონ. ის ძლიერ ფრთხილად უნდა მოიქცეს, თორემ შეიძლება გზიდან დააბრუნონ. გადასწყვიტა არავისთვის იმისთანა შეკითხვით არ მიემართა, რომ ადამიანის გულში რაიმე ეჭვი გამოეწვია. ფილიპეს მხოლოდ ორი ქალაქის სახელი ახსოვდა, სადაც სამხრეთში მგზავრობის დროს მისმა დედობილ-მამობილმა გამოატარეს. ერთი იყო—ქალაქი ჩატანუგა. იქ იმათ დაათვალიერეს საყარაულო გორა, „ღრუბლებში ბრძოლის“ ალაგი; მეორე—ვაშინგტონი იყო, რომლის შესახებაც ქ. ეინსვორტმა უთხრა—ეს სატახტო ქალაქიაო. თუკი ნიუიორკისკენ მგზავრობის დროს ეს ქალაქები გამოიარეს, დაბრუნებისასაც ამ ქალაქებში უნდა გაიარონ; ამიტომ მან გადასწყვიტა ვაშინგტონის გზა შეეტყო.

ფილიპეს ისე სულითა და გულით უნდოდა სამშობლოში დაბრუნება, ისეთი გამბედაობა დაებადა გულში, რომ ალარ აშინებდა ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა, შიმშილი, სიცივე, წყლები და ტყეები, რომელნიც უნდა გაევლოთ, სანამ თავის საყვარელ სამშობლოს მიაღწევდნენ.

ღამის კარგა ხანი იყო უკვე გასული, როცა ჩვენი პატარა მგზავრები ბრწყინვალე და ხმაურა ჯერსეი სიტის სრულებით მიყრუებულ განაპირა უბანში გაჩნდნენ. ლილიბელი ძლიერ დაიღალა და განაცხადა, რომ ერთ ნაბიჯსაც არ გადასდგამს, იქვე სახლის კიბეზე ჩამოჯდა და ნამცხვარითა და დაშაქრული ხილით შენაყრდნენ. შემდეგ ლილიბელი კიბის ქვეშ ბურბუშელაში მიწვა და ჩქარა სიზმრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეფოში ამოჰყო თავი, სადაც არ არის სიცივე, შიმშილი და დაღლილობა.

ცოტა ხანს ფილიპე წყნარად იჯდა და ვარსკვლავებს შესცქეროდა. იგი ჰფიქრობდა: „დედილო ხშირად მესაუბრებოდა ამ ვარსკვლავებზეო. აქაც ისე ახლოს სჩანან და ისე ბრწყინავენ, რომ ყოვლად შეუძლებელია აქედან ახალ ორლეანამდის შორი გზა იყოს. აი, ეს ვარსკვლავი ყოველთვის დედილოს ბაღის პირდაპირ იყო. ახლაც ისეთივეა, როგორიც იქ იყო, და იქაც და აქაც ერთსა და იმავე დროს აინთება ხოლმეო.“ ამ ძველ ნაცნობ ვარსკვლავთა გუნდის ნახვამ ბავშვის გულს სიამე მოჰფინა და გრძელი მგზავრობა გაუადვილა: უხაროდა, რომ ეს ვარსკვლავები მათი თანამგზავრები იქნებიან, და ამიტომ გზაც უფრო მოკლე ეჩვენა.

ჩქარა ბავშვმა სიცივე იგრძნო და თვალები დაუმძიმდა. ის კიბის ქვეშ შეძვრა და მოიკალათა ლილიბელის გვერდით, რომელსაც ბურბუშელაში მოხერხებული ალაგი ეპოვნა; შუაზე „შვილები“ დასდგა, ბოხჩა სანოვაგით თავს ქვეშ ამოიდო და თითონაც ჩქარა გაჰყვა თავის შავკანიან თანამგზავრს საოცნებო სიზმრების სამეფოში.

გამოანათა თუ არა ცისკარმა, „შვილების“ წრიპინისაგან გაღვიძებული ფილიპე ლილიბელის ღვიძებას შეუდგა, რომელიც, ყოველ ეჩვს გარეშე იყო საღამომდის არ აპირობდა გაღვიძებას.

— როგორ, ოსტატო ფილიპე, განა ადგომის დროა?— თვალების ფშვნეტით გულნაკლულად ბუტბუტებდა ის, იმ დროს, როცა ფილიპე რაც ძალი და ღონე ჰქონდა ანჯღრევდა მას.

—დროა, დრო! ადექი ჩქარა, ლილიბელ, და ისაუზმე! ჩვენ შეგვიძლია გავასწროთ, სანამ აქ მოვიდოდნენ.

ფილიპემ „შვილებს“ ცოტა მარცვალი დაუყარა და თვითონაც ერთი ნამცეცა მშრალი ხილი შესჭამა, მაშინ როდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ლილიბელი სიამოვნებით შეექცეოდა ნამცხვრის უმვე-ლებელ ნატეხს. საუზმის შემდეგ გაიფერთხეს ბურბუშელა და მტვერი და გაუდგნენ თავის არა-სასიამოვნო გზას.

— ადექი ჩქარა, ლილიბელ!

ცივი და ღრუბლიანი დილა იყო. ფილიპეს თავი უხურდა და ფეხები ტყვიასავით დამძიმებოდა, მაგრამ სიჩქარე იყო საჭირო: არ შეიძლებოდა მგზავრობის დაწყების დროს სისუსტე და უილაჯობა. კარგა მანძილი რომ გაიარეს, ერთ სოფელში შევიდნენ და წყალი ითხოვეს. კეთილმა დიასახლისამ თბილი პური კარაქით და თვითო ფინჯანი ყავა შესთავაზა. ბავშვებმა ისაუზმეს, კარგ გუნებაზე დადგნენ და მხიარულად განაგრძეს გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღე არ დაუსვენიათ. ფილიპე ყოჩაღად მიდიოდა; ლილიბელი კი ძლივს მიათრევდა ფეხებს. ვაშინგტონის გზა იკითხეს. კითხვაზე ზოგი იცინოდა, ზოგი კი ეუბნებოდა,— ასე იარეთ, ნურსად გადაუხვევთ, და ერთ კვირაში იქ იქნებითო... ზოგი ამბობდა—არ ვიცით, სად არისო, ზოგიც— ქვეითად მოსიარულეთათვის ძლიერ შორს არის, და სჯობია რკინის გზით წასვლაო. ფილიპე ყველას მადლობას ეუბნებოდა და ისევ გზას განაგრძობდა. ეს პირველი დღე მას მთელ მის სიცოცხლეში უგრძეს დღედ ეჩვენა.

მეორე ღამემ სოფლის განაპირას პატარა რკინის გზის სადგურთან მოუსწრო.

ფილიპეს პირში არაფერი ჩასულა და ძლიერ მოშივდა. ლილიბელი კი მთელი დღის განმავლობაში ისე გულმოდგინედ ილუკმებოდა, რომ მათ ბოხჩაში შემწვარი მარცვლების გარდა აღარაფერი დარჩა; ამ ხმელ შეჭამადზე კი ფილიპეს გული არ მისდიოდა. როდესაც სადგურთან მივიდნენ, საქონლის მატარებელი წასასვლელად მზად იყო და მხოლოდ ორთქლმავალს უცდიდა.

ორი მუშა სამზარეულო ქვაბს უსხდნენ და ვახშმობდნენ. ფილიპემ გავლის დროს ხარბი თვალით გადახედა; მუშების წინ ყავით სავსე ქვაბს ოხშივარი ასდიოდა. დაღლილ ბავშვს ძალიან მოუნდა ეს გემრიელი სასმელი, მაგრამ არ უყვარდა უსასყიდლოდ სხვისი პატივისცემით სარგებლობა; ჯიბიდან ფული ამოიღო და ზრდილობიანად ითხოვა მისთვის ცოტა ყავა მიეყიდნათ.

მუშებს გაეცინათ:

— აი, შე პატარა კაცო, ჩვენ აქ საყავე როდი გაგვიხსნია: შეგვიძლია ყავა მუქთად გაგიზიაროთო.

ამ სიტყვებით ბავშვს დიდი თუნუქის თასით ყავა მიაწოდეს. ყავა მაგარი და ტკბილი იყო, და თუმც „მოკო“ არ იყო, ფილიპეს ისე ეჩვენა, თითქო თავის დღეში ამის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანა გემრიელი ყავა არ დაელიოს: სიამოვნებით დალია ნახევარი თასი და დანარჩენი ლილიბელს გადასცა.

პატარა ზანგი ისეთი ხარბი თვალებით მისჩერებოდა პურსა და შაშხს, რომ მუშებმა ამას ყურადღება მიაქციეს და თავის ვახშმიდან ერთი ნაწილი ბავშვებს უთავაზეს; ბავშვებმა ჩქარა და ხარბად, დიდის აღტაცებით შესჭამეს. შიმშილი საჭმელს საუკეთესო გემოს შესძენს ხოლმე. ფილიპემ ისე მადიანად ივახშმა, როგორც ერასოდეს არ უვახშმია Madame ეინსვორტის დიდებულად მორთულ-მოკაზმულ სასადილოში. ვახშმის შემდეგ ფილიპემ მადლობა გადაუხადა და ისევ სამგზავროდ მოემზადა.

— საით მიდიხართ, ბავშვებო?—ჰკითხა ერთმა მუშამ.

— ჩვენ ვაშინგტონში მივდივართ,— დაუფიქრებლად უპასუხა ფილიპემ.

— ვაშინგტონში? მერმე მიაგნებთ კი?

— ჩვენ ქვევითად მივდივართ,—გაბედულად უპასუხა ბავშვმა.

— მერმე როდის იქნებით იქ?

— არ ვიცი, შეიძლება ხვალვე მივიდეთ.

— ხა-ხა-ხა! მატარებლით წაგიყვანთ, ორერემ ფეხით იქ ერთ თვეზე ადრე ვერ მიხვალთ და გზაში წაღებიც დაგიცვდებათ.

ფილიპე და ლილიბელი, ამისთანა ბედნიერი შემთხვევით აღტაცებულნი, მაშინვე ვაგონში აკოცდნენ.

მუშებმა კუთხეში ერთი სკამი დაუთმეს, სადაც თავისუფლად შეეძლოთ გიმოეძინათ. იმათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მეორე დილას ვაშინგტონში გაიღვიძეს.

— მომისმინე, ლილიბელ,—უთხრა ფილიპემ თავის თანამგზავრს,—ახლა ჩვენ ნიუიორკიდან შორს აღარ ვართ, და იმდენად აჩქარება საჭირო აღარ არის. მე ცოტა ფული მაქვს და შეგვიძლია აქ დავრჩეთ და ცოტა დავისვენოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძლება აუარებელი ფულიც ვიშოვნოთ, თაგვების წარმოდგენას თუ გავმართავთ,—ურჩია ლილიბელმა მხიარული სიცილით.—მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ მეტი ფეხით სიარული აღარ მოგვიხდება.

ფილიპეც იმედით აღსავსე იყო და როგორ არ დასთანხმებოდა ლილიბელის აზრს. ჯერჯერობით საქმე ერთობ კარგად მიდიოდა. მართლაც არც ისე ეასაჭირია ახალ ორლეანში მისვლა.

ისინი ორ უდარდელ და მხიარულ მილიონერებსავით აუჩქარებლად ქალაქის დათვალიერებას შეუდგნენ.

დათიკო ანთაძე

(შემდეგი იქნება)



ლაბირინთი

ძველი ბერძნების გადმოცემა გვიამბობს: მეფობდა ოდესმე საბერძნეთში მეფე ეგეი. მას ჰყავდა შვილი თეზეი. მშვენიერი სახის ვაჟკაცი, ახოვანი, ძლიერი და გულადი, საარაკო გმირულ მოქმედება-მოღვაწეობას იჩენდა. ამის გამო მამას თავისი მემკვიდრე უზომოდ უყვარდა. ერთხელ ბერძნებსა და კუნძულ კრიტოსის მცხოვრებთა შორის ასტყდა ომი. მეფე ეგეი ძლეულ იქმნა მტრისაგან, თავი დამარცხებულად აღიარა და იკისრა მძიმე ხარკის ძლევა კრიტელებისთვის. კრიტოსის მეფედ იყო იმ ჟამად მინი. იმის სასახლის მახლობლად იმყოფებოდა საზარელი კაცის-ჭამია მგელ-კაცი, სახელად მინოთავრი. ცხოვრობდა იგი განცალკევებით ისეთ უზარმაზარ შენობაში, რომ იქ შესული ადამიანი გარედ გამოსვლას ვეღარ ახერხებდა, რადგან არა ჩვეულებრივ შენობის ოთხ-კუთხივ დახლართულ აუარებელ უთავბოლო დერეფნებში გზა ერეოდა, გამოსასვლელ კარს ვეღარ ჰპოულობდა და რჩებოდა იქ სამარადისოდ.

დაქსელილ დერეფნებში დატყვევებულს ბოლოს მინოთავრი ჰპოულობდა, ჰგლეჯდა ასო-ასოდ და სჭამდა. იმ საზიზღარ შენობას ერქვა ლაბირინთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარცხებულ საბერძნეთს კრიტოსის მეფისათვის ცხრა წელიწადში ერთხელ უნდა ეძლია მსხვერპლად შვიდი რჩეული ჭაბუკი და შვიდი ქალწული, რომელთაც მინოთავრს შეუგზავნიდნენ ხოლმე ლაბირინთში.

ბ რძნები დამორჩილდნენ ამ საშინელ ხვედრს და დიდის მწუხარებითა და გლოვა-ვაებით გაუგზავნეს მეფეს შვიდ შვიდი ქალ-ვაჟი ორ ვადაზე. გაგზავნილები უკან აღარ დაბრუნებულან. მესამეჯერ ბერძნებმა უარჰყვეს ხარკის გადახდა და გადასწყვიტეს აღარ გაეგზავნათ შვილები მტრისათვის, რადგან რცხვენოდათ და ებრალებოდათ სიცოცხლით სავსე ახალგაზდები რომ ასე ელუპებოდათ.

მეფე მინმა მოითხოვა დაწესებული ხარკი მესამედაც.

—ჩემი ცოცხალი თავით აღარ დავთანხმდები ამ სამარცხვინო საცოდაობაზე. დეე მე თვითონ მაწამონ და ჩემი სამეფოს ძვირფას შვილებს კი ველარ გაუგზავნი გაუმაძღარი მგელ-კაცის ლუკმადაო,—ბრძანა ეგეიმ.

მაგრამ შვილმა შესთხოვა მამას, რომ უკანასკნელად კიდევ დათანხმებულიყო და განწირულთა შორის ისიც გაეგზავნა.

—როგორ?! შენ გაგაგზავნო?!. მერე ვინ იქნება მოხუცებული მამის პატრონი? შენ ხომ ჩემი ერთად-ერთი შვილი ხარ?!. ვისთან უნდა დავრჩე უშენოდ?—უთხრა მეფემ შვილს განცვიფრებით.

თეზეიმ მამასა და ხალხს იმედი მისცა, რომ ის ბოლოს მოულებდა მინოთავრის ხსენებას და გაანთავისუფლებდა სამშობლოს ამ სამარცხვინო მონობისაგან. შვილის მტკიცე კილომ, დაბეჯითებულმა თხოვნამ და აღთქმამ მამას გული გაუმაგრა და მისცა საშინელ განსაცდელში წასვლის ნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გისტუმრებ, შვილო, გულდაწყვეტილი, ლოცვა-კურთხევით, მაგრამ ჩემი ფიქრი და გონება შენთან იქნება; დღე და ღამ შენი დაბრუნების მოლოდინში ვიქნები; თვალი და ყური შენი გზისკენ მეჭირება. მე გადავდგები ზღვის პირას და თვალს ვადევნებ შორიდან მომავალ გემებს. თუ ღმერთმა ხელი მოგიმართა და მშვიდობით გადარჩი, გემზე თეთრი იალქანი ამართე, რომ გემს გულდამშვიდებული მივეგებო,—უთხრა მამამ შვილს.

თეზეი გამოეთხოვა მამას, ხალხს და ცამეტ განწირულ ქალ-ვაჟთა შორის გაემგზავრა მტრის ქვეყანაში. იქითობას გემზე ჩვეულებრივ შავი იალქნები ამართეს.

მეორე დილით გემი მიუახლოვდა კუნძულს. აი, გამოჩნდნენ შორიდან მთები, მეფის სასახლე... აი, საშინელი ლაბირინთიც... იქ ცხოვრობს ულმობელი კაცის მჭამელი მინოთავრი, რომელთანაც მიდიან... აი, მიადგა გემი ნაპირს. მოვიდნენ ჯარის კაცები, ჩაიბარეს საბერძნეთის საუკეთესო შვილები და წაიყვანეს ლაბირინთის ბჭისაკენ... სტირიან ყველანი—ენანებათ თავი, ახალგაზდობა, სიცოცხლე, რადგან სული ტკბილია... არა სწუხს მხოლოდ თეზეი, მიდის წინ, ამაყად, მხნედ, მხიარულად, იმედიანად.

— ნუ გეშინიათ, ძმანო და დანო, გამაგრდით და გწამდეთ, რომ ყველანი მშვიდობით დაბრუნდებით ჩვენს ქვეყანაში!—ამხნევებს ის ამხანაგებს.

სამშობლოსათვის თავდადებულ ახალგაზდებს მოევლინა ვილაც ქალწული, დაღვრემილი და თვალ-ცრემლიანი.

— ვინა ხარ, ან რათა სტირი, მშვენიერო ასულო?—შეეკითხა თეზეი.

— მე ვარ არიადნა, აქაური მეფის ასული; ვსტირი თქვენს ბედს და მსურს მოგანიჭოთ სიცოცხლე და თავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გზით შეგიძლია ჩვენი ხსნა?

არიადნამ გაიხმო თეზეი ცალკე, მისცა ძაფის გორგალი და შემდეგი დარიგება:

— ლაბირინთში რომ შეხვალ, ეს გორგალი წინ გაიგორე, ისე, რომ გზა-გზა დაირღვეს, და თუ შესძლებ მინოთავრის მოკვლას, დარღვეული ძაფი გიჩვენებს უკან დასაბრუნებელ გზას. გისურვებ გზა მშვიდობისას და გამარჯვებას!..

თეზეიმ დიდი მადლობა გამოუცხადა მეფის ასულს, ამხანაგები კარებთან დასტოვა და თვითონ გაბედულად შევიდა შენობაში. ძაფის წვერი კარების საფეხურზე მიაბა და გორგალა ფეხით წინ გაიგორა. ამ რიგად მიაღწია ლაბირინთის შუაგულს, შეებრძოლა მინოთავრს და მოჰკლა იგი. ახლა მხოლოდ გზის ვამოგნება იყო საძნელო, მაგრამ ესეც გაუადვილდა, მიჰყვა რა იმ დერეფნებს, რომლებშიც ძაფი იყო გაბმული.

კარებთან ამხანაგები მოუთმენლად და გულის ფანცქალით ელოდნენ თეზეის დაბრუნებას, და წარმოიდგინეთ იმათი სიხარული, როცა იგი უვნებლად იხილეს.

საბერძნეთის ხალხი ამასობაში გულის წუხილით ელოდა გემის დაბრუნებას. მეფე ზღვის პირას იდგა და ცის ტატნობს გასცქეროდა... სიკვდილს გადარჩენილ ახალგაზდებს მოულოდნელი სიხარულით იალქნების გამოცვლა დაჰვიწყებოდათ, და შორიდან რომ ისევ სამგლოვიარო იალქნები გამოჩნდა, მეფეს თავისი პირმშო შვილი დაღუპული ეგონა, მწუხარებისაგან გონება-დაკარგული კლდიდან ზღვაში გადავარდა და თავისი სიცოცხლე მის ტალღებს შესწირა. ამის გამო დაერქვა იმ ზღვას ეგეის ზღვა. მამის მაგივრად გამეფდა თეზეი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის მოღვაწეობით საბერძნეთი გამოვიდა სამარცხვინო მონობიდან და მიიღო თავისუფლება.



აქ დახატულია ლაბირინთის გეგმა. ძირს აღნიშნულია შენობაში შესასვლელი კარი. უნდა გაიაროთ ამ კარებიდან დერეფნები, მიხვიდეთ ლაბირინთის შუაგულს, სადაც ადამიანია გამოსახული და მერე იმავე მიმართულებით უკან გამობრუნდეთ. აბა, სცადეთ, იქნება თქვენც იპოვოთ სამშვიდობოთ გამოსვლის და თავისუფლების მომნიჭებელი გზა.

თეო. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზები

(გურიაში შეკრებილი გ. ლომთათიძის მიერ)

ავის მქნელს ავი დაემართებაო.

—

ამოღებული ხმალი პურმარილმა ჩააგო.

—

ალალი უყვარს უფალსა, არამი შესძულებია.

—

თუ მეზობელი კარგად გყავს, შენც კარგად ხარო.

—

ძუნწს მეტი დაეხარჯება.

—

ხუმრობა ნახევრად მართალიაო.

ხალხური ლექსები

(შეკრებილი ქართლში ნ. კეცხოველის მიერ)

ღრუბელი მისდევს ღრუბელსა,
მისდევდა უკან დევნითა,
მისდია, ვერ მოეწია—
სტიროდა ცხარე ცრემლითა.

—

კაი კაცის პურ-მარილი
ჭლვაზე ხიდად გაიდება.
კარგ-კაცობა ქვაზე დადო,
გაიარო—წინ დაგხვდება!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარო, ფრენა ვინ გასწავლა?
შავარდენო—ნადირობა?
გლეხო კაცო—გარჯილობა,
აზნაურო— გაზრდ-ლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ტ ბ ი ლ ი ს ი

სადღეგრძელო

გაცოცხლოს და გადღეგრძელოს,
პური, ღვინო დაგიძველოს.
ცხრა ულელი ხარი მოგცეს,
გუთნეული დაგიგრძელოს;
შვიდი ვაჟიშვილი მოგცეს
თეთრი წვერით დაგიბეროს.
ღმერთმა სამი ქალი მოგცეს,—
სიძეები დაგიძველოს.

მე-8 და მე-9 №№-ში მოთავსებულ შარადების და რებუსის ახსნა.

1) დანამული მინდორი; 2) სარქველი; 3) რისხვა ბრძნისა სჯობს ცრუსა ალერსსა.

რედაქტ. ნინო ნაკაშიძე. გამომც. ფ. პ. ნ. თუმანიშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნაკადული"

წელიწადი მეთოთხმეტე. „ნაკადული" წელიწადი მეთოთხმეტე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა რედაქციას, ეცდება მცირე-წლოვანთათვის წინანდელივით **ორი წიგნი** გამოსცეს თვეში და მოზრდილთათვის—**ერთი წიგნი**; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოიცემა თვეში ერთი წიგნი მცირე-წლოვანთათვის, 32 გვერდი, და ერთი წიგნი—მოზრდილთათვის.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**12** მან. ნახევარი წლით—**7** მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—**7** მან. მოზრდილთათვის—**7** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули", Головинскій пр. №8. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ტ სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახ-შვილთან ტ ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძესთან, **ლანჩხუთში**—მასწავლებელ ჯღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.